



# ილორი



№ 37 (105) 20 თებერვალი 2009    სანჯალსო    მთარაობა    "სამეგრელოს" ორგანო    50 თეთრი

## ჩავიდა რუსთავეში 6 და ნახა აფხაზეთი!



ევროსასამართლო  
ბირგვლიანის  
საქმეს განიხილავს, 8  
სანდროს  
მკვლელები კი  
შეიწყალეს

## სიტიპარკის ყარალები 2

ვირეშაჟი ანუ ვრცელი  
რეპლიკა პროფესორ  
ლომონოსოვის 10  
თაღლითობის გამო



## ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" უძღვება რეპრეზანტაციას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

## უნგრეთმა ფინალი მაინც წააგო

12



## 5 "კოლხები — ქართველების წინაპრები"

ანზორ შონია

## სამეგრელოს 6 ღირსეული შვილები

2007 წლის 3  
7 ნოემბერს  
დაზარალებულები  
სამართალს  
სტრასბურგში  
ეძებენ



# სიბიპარკის ყარაღაბი

რამდენიმე წუთის გადმოსული ვიყავი სასტუმრო „სიბიპარკის“ წინ განერებულ მანქანიდან, ის იყო, გაზოთ „ილორის“ ახალი ნომრები უნდა გადამეცა იქ მაცხოვრებელი აფხაზეთიდან გამოდევნილი ოჯახებისათვის, რომ პატარა ბიჭუნა მომვარდა და შემომამახა – „ბიბია, ბიბია, ახლახან თქვენი მანქანა ვილაგებთა წაიყვანესო!“ უღელდა მეცა... მაგრამ, არ შევიმჩნიე, სათქმელი ჩავათავე, გაზოთები გადავეცი მოსასმენად მოსულთ, გარეთ გამოვედი და... მართლა წაყვანათ, ჩემი, ძველი – თავის სამშობლოსა და საქართველოში დამლოხდილი ავტომანქანა!.. რომ იტყვიან – განერებისხლი!

თავიდანვე გამოვიცხე გაცაცება, მოპარვა, ან სხვა მსგავსი უჯიშობა, რაც ამ ბოლო წლებში შეისისხლხორცა ქართველობამ, მაგრამ მაინც მივაკითხე იქვე, მუშობლად მდებარე საბურთალოს პოლიციის განყოფილებას. აუუსსენი თუ არა საქმის ვითარება, განმიმარტეს – კატეგორიულად გამორიცხულია გაცაცება, „სიტიპარკის“ საჯარიმო მოედანზე უნდა ექებოთ მანქანა!

რომ ვიკითხე, ვისი უწყებაა „სიტიპარკი“-მეთქი, მიპასუხეს – ეს თუ არ იცი, მანქანით როგორ დადიხარო!.. არ ვიცი, იქნებ მიმანიშნოთ მეთქი. „საიდუმლოდ“ გამანდეს – გიგი უგულავასიო „სიტიპარკი“-ც და ყველა სადგომი თბილისში, ისე როგორც ყველა საჯდომი და ჩასაჯდომი ახალაიებისაა სამეგრელოში!.. მის ნაკლებად მაინტერესებს ახალაია და მისი საქმეები – ჩემთვის უფრო საინტერესო, სწორედ სამეგრელოს გუბერნატორობიდან სტარტდებული, უკიდვანოდ გაგულავებულები უგულავაა, რომელმაც დედაქალაქში სახედრის დასაბმელი ადგილიც კი არ დატოვა გადასახადშეუწერელი!

ჰოდა, ჩვენც იქედან შევედგეთ საქმეს – გიგი უგულავამ საქვეყნოდ რომ გამოაცხადა ე.წ. „სიტიპარკის“ გაუქმების და მის ადგილას, ახალი მეპატრონეს გაჩენის შესახებ, თურმე მორიგი ბლევი ყოფილა! ბლევი ყოფილა ასევე ვატრობა წლიური გადასახადის ოდენობის შესახებ, თითქოს „სიტიპარკის“ შემოთავაზებული წლიური 50 ლარის ნაცვლად 25 ლარის დადგენა და ამის გამო „სიტიპარკის“ დათხოვნა!.. დემტო შეგვცოდე – ასევე ბლევი ყოფილა „ხალხის კეთილდღეობისათვის“ ოფლაგადამსკლარი ლეობორისტების „ბრძოლაც“, ვითომც მათმა დაუდღავამ რუდუნებამ გამოიღო შედეგი და მერია დაითანხმეს 25 ლარიან წლიურ გადასახადზე ქალაქის ტერიტორიაზე უფასო პარკირებისათვის.

ადგილი მისახვედრია – უგულავა და „სიტიპარკი“ თავიდანვე თანახმა იყვნენ 25 ლარიანი გადასახადის შემოღებაზე და სწორედ ამიტომ დასახელებს საწყისი სავაჭრო თანხა 50 ლარი. გათვლა მარტივია, თავიდან მკაცრად გამოცხადდა – „სიტიპარკი“ თუ ამაზე არ დაგვეთანხმება ჩვენ მას დავთხოვთ და სხვა კომპანიას შემოვიყვანოთ (ე.ი. მარცხენა ჯიბიდან ამოვიღებთ და მარჯვენაში ჩავიდებთ!). თავად მერი აპირებდა ამ თემას რამდენიმე დღის განმავლობაში და თურმე, უფლებამოსილებასწერებულები „სიტიპარკი“ ოქტომბრიდან ისევ შეუღლა საქმიანობას!

ის კი არა, მთლად გადასარევი ამბავი მოთხრეს, უგულავას განუცხადებია – „25 ლარიანი ტალღით ყველა ნებადართულ ავტოსადგომზე შევიძლიათ უფასოდ დავეყნოთ მანქანა, მაგრამ „სტაიანშიკს“ თუ რამეს აჩუქებთ, ქველმოქმედებაში ჩაგეთვლებათო!“

დიდებული კეთილშობილება ქალაქის მერისგან – 25 ლარი უგულავას და მის ყანადებს და დამატებით შაბაში კიდევ „სტაიანშიკებს“, ამის შემდეგ კიდევ იტყვიან უგულავა თბილისის მოსახლეობისთვის არ ზრუნავსო!

ყველაფერი ეს სხვა არაფერია, თუ არა, დედაქალაქის მოსახლეობის თვალის ახვევა და საკუთარი ბიზნესის საგულდაგულოდ შეფუთვა. ...ერთხელ, ერთმა ჩემმა მეგობარმა როლანდ ჯალაღანიაძემ მოთხრა: „მტრის

ჩამოგდებულ ბომბებს შეიძლება დამელო, ამათ ჩამოგდებულ ბომბს შანსი არ არის სადმე გაეცქირო!“ მინდოდა მეკითხა ეს როგორ მეთქი!.. არ დამაცალა – „ესენი შიმშილის ბომბებს ყრიან მთელს ქვეყანაზე და ეს ისეთი ბომბია ყველგან აღწევსო!“ არა მგონია ვინმემ უკეთესად შეაფასოს უგულავების და მისი, ქვეყნის დამატკევერი მთავრობის მოქმედება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ესეც ნიჭია და მთავრობაში ცალ-ცალი კალოშით მოსული ბიჭები, როცა მორჩებიან ქვეყნის ოფიციალურად მარცხს – დამსახურებულად „დაფრუნდებიან ბიზნესს“, რომელიც მათ, მანამდე არასოდეს ჰქონიათ!

მკითხველიც დამეთანხმება – ყველა ცხოვრების გარანტიას იკეთებს, უგულავა რატომ უნდა იყოს გამონაკლისი, ასე წელი ხომ არ იქნებაო ქალაქის მერი?

იმავე პატივცემულმა მკითხველმა არასწორად რომ არ გამოგოს, რატომ გამოვეკიდე ბ-ნ უგულავას – ხომ არ არის ეს 60 ლარიანი (+10 ლარი) ჯარიმიდან გამომდინარე, ახლავე მოგასხენებო: – 60 კი არა, 70 ლარი გამომივიდა ჯარიმად, რაც ცოტა ფული არ არის (არა უგულავას და მასავით ხალხის კისერზე გაგულავებულებებისთვის), 70 ლარით 10 შეკერა, ხუთასფურცლიანი საბეჭდი ქაღალდის ყიდვა შემიძლია, რომელიც სრულიად საკმარისია ერთი კარგად მოზრდილი წიგნის დასაწერად და გამოსაცემად უგულავას და მისი ყანადებს საქმიანობაზე.

ეს ერთი! მეორე – საჯარიმო მოედნიდან, უგულავას ყანადების მიერ გაცაცებული მანქანა რომ დავიხსენი, ისევე სასტუმრო „სიბილს“ მივაკითხე. მანქანის გასახერხებელი ადგილი ვერ მოგხანებო ისე იყო გადატკეცილი მთელი პერიმეტრი. ცოტა არ იყოს კვკვი შემეპარა, რაღა მაინც და მაინც ჩემს მანქანას დაადგეს თვალი „სიტიპარკის“ პირატებამეთქი და დღომის ამკრძალავი ნიშნის ძებნა დავიწყე. კანდელაკიდან გამსახურდას ქუჩის შემოსავლემდე იგი ვერ ვიპოვე. არა და, ქუჩის დასაწყისში უნდა იყოს აკრძალვის და რაც ყველაზე მთავარია, ქუჩის სახელის მიმანიშნებელი ფირნიშანი (ამ უკანასკნელს მოგვიანებით მივუბრუნდები), რაც ნებისმიერ სოფელში აუცილებელია უცხოეთში... იმ უცხოეთში, რომლის ძალიანობით ქვეს ქვაზე არ ტოვებენ დედაქალაქში და მისი არა მარტო ჩვეულებრივი, ისტორიული უბნები შუშის აქვარიუმებით ამოავსეს ამ უმწიფარმა „ქვეყნის აღმშენებლებმა“. აკრძალვის ნიშანი რომ ვერ ვიპოვე, კიდევ უფრო გამიღვივდა ეჭვი – რაღა მაინც და მაინც ჩემს მანქანას დაადგეს თვალი? და ისევე ის ბიჭუნა გამომეცხადა, რამდენიმე საათის წინ მანქანის გაცაცება რომ მახარა:

– იპოვე ბიბია მანქანა?  
– კი, ვიპოვე, მაგრამ ხომ არავინ შეგინიშნავს მანქანასთან, სანამ წაიყვანდრენ-მეთქი.

– როგორ არა, მე იქვე ვიდექი, მანქანის სალონი რომ იყურებოდნენ. გაგიგონე ერთმანეთს რომ უთხრეს ეს არისო!.. წინ და უკან მანქანები გამოეცადნენ და ისე სწრაფად ასწიეს, რომ მცოდნოდა სად იყავით მაინც ვერ მოვასწრებდიო მოვალას!

ასე „ჩაგიშვით“ ალაღმართალმა პატარა ბიჭუნამ, რომელიც სულაც არ გავდა თქვენს დაქირავებულ, ზნეობადაკარგულ „ჩამშვებებს“, უდანაშაულო და ალაღმართალი ხალხის ცოდვამ რომ დგამენ ფეხს ფულის გულისთვის. მაღლობა ვითხარო პატარა ბიჭუნას, მასაც ვაჩუქე „ილორის“ ახალი ნომერი და ამკრძალავი ნიშნის ძებნა განვაგრძე. აქც ის ყმაწვილი დამეხმარა და იგი მოსახვევიდან ოცდაათი მეტრის მოშორებით, საბურთალოს რაიონის მუნიციპალიტეტი პოლიციის წინ მდგარ ბოძზე აღმოვაჩინე. შევბით ამოვისუნთქე – არ ყოფილან მეთქი მთლად მტყუანი უგულავა და მისი „სიტიპარკის“ ყანადები!.. მაგრამ, ისევე თვალში მეცა აკრძალვის ნიშნის ჩაყოლებაზე, პირდაპირ პოლიციის შენობის წინ ჩალაგებული მანქანები. ზოგიერთ მათგანს ეტყობოდა, რამდენიმე დღის დაძრული არ იყო

ადგილიდან... ამ ფიქრებში ვიყავი, „სიტიპარკის“ მოციმციმე შუქიანმა ევაკუატორმა რომ შემოუხვია კანდელაკის ქუჩიდან. გავიფიქრე, ახლა კი გაამწარებენ ვიღაცას, მაგრამ, ისე ჩაუქროლეს ყოფილი აბანოს (აქედან მოდის ალბათ, პოლიციის ძველი სახელი – „ვირის აბანო“) შენობაში განთავსებულ პოლიციის განყოფილებას და სასტუმრო „სიბილს“, გვერდზე არც კი გაუხედავია... მაღლობა დემეტოს, ვიღაცა გადარჩა-მეთქი, ჩავილაპარაკე და გზას გავედექი.

ახლა კი კარგად მომისმინე ბატონო უგულავა – ბევრი რამ ვიცი მე თქვენი და თქვენი მთავრობის შესახებ, მაგრამ მათ გამოსაფენად არ ამიღია ხელში კალამი. მე კონკრეტულად მერის და მერიის ვალდებულებებზე მინდა გაავამახვილო ყურადღება, ავტოსადგომების და ქუჩების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც ქუჩების დანომრებით, დასახვით და ამკრძალავი და ნებართვის ნიშნების მოწესრიგებით იწყება. სანამ მკაცრ საჯარიმო სანქციებს დააწესებდეთ, პირველ რიგში ეს საკითხები უნდა გქონდეთ მოწესრიგებული, მაგრამ, რადგანაც თქვენ, საქმის წინ, ფულის შოვნის სურვილი გაგიბობთ, უმთავრესი გავიწყდებო! თქვენ გგონიათ, რომ უცხოური სტანდარტები მარტო თქვენ გაიკეთ და გესმით და მათი ერთი-ერთზე შემოღება და დამკვიდრება ნახევრადველურ ქალაქში, რომლის მერიც თქვენ ბრძანდებით, ასე მარტივი საქმე რომ არაა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ!..

თითქმის ყოველთვე ჩამოდიან ჩემთან უცხოელი სტუმრები. ხშირად, მე და ჩემი მეგობრები ვახერხებთ მათ მეგზურობა გავეწიოთ, მაგრამ არაიშვიათად (მას შემდეგ რაც გაუქმდა მინდობილობები მანქანის დროებით სამართავად გადაცემაზე) ჩვენს მანქანებს ვთავაზობთ მათ. სწორედ აქ იწყება მათი ტანჯვა – ქალაქ გარეთ კიდევ არა უშავთ; უკან მობრუნებულები მეგზურის გარეშე სასტუმროს ვერ აგებენ თქვენგან დამშვებულ ქალაქში!.. შე ოჯახაშენებულო – ამხელა ქალაქის მერი ხარ (არა აქვს მნიშვნელობა იგი ველურია, თუ ცივილიზებული), უცხოეთში რომ დადიხარ, ერთხელ ქუჩებს და მის წარწერებსაც შეხედე და იქნებ მოგიჩინებოდა აქაც გადმოიღო ისინი, რომ მეძებარი ძალიანობა არ ექვდღეს შენი ქალაქის სტუმარი სასტუმროს თუ მასპინძელი მეგობრის ქუჩას, სახლს და სადარბაზოს!.. მართალია თქვენ საჭესთან ჯდომას არ გიწვეთ და არც გეკუთვნიან (მგზავრობის დროსაც ქალაქზე და მის მაცხოვრებლებზე „მოფიქრალს“), ამას თქვენი მძღოლი აკეთებს და ვერ ამჩნევთ შუა ქუჩებში თვეების, ზოგან წლების განმავლობაში თავახდილ ჭებს (რომლებსაც დღეში, სულ ცოტა ასჯერ უდარდელად რომ ჩაუყლის ჩვენი სასახელო პატრული), ანეკდოტებს რომ ყვებიან მათზე იგივე უცხოელები, არ ფიქრობთ რომ ეს დანაშაულია, რომელზედაც პირადად თქვენ და თქვენდამი დაქვემდებარებულმა სამსახურებმა უნდა აგოთ პასუხი?

უამრავი უბედური შემთხვევა მოჰყვა და მოჰყვება მომავალში ამ თქვენს დანაშაულს – აგო, ან აგებს კი ვინმე მომავალში ამაზე პასუხს?!.. ისევე უდანაშაულო ადამიანები უნდა დაზარალებდნენ თქვენი უპასუხისმგებლობის გამო. თქვენ ეს არაფრად არ მიგანიათ, თქვენივე მთავარია ჯარიმებიდან ამოღებული ფული, რომელსაც დემეტოა უწყის სადაური კერძო ფირმა ქაფავს და გარანტია გაქვთ, აღდრინდელი მეთოდით, პრიმიტიულად ამონაგებ ხურდებს არავინ მოგპარავთ!

რომ არ გეგონოთ, ამ საკითხზე ვინმე შემთხვევით ადამიანი გესაუბრებთ, აქვე გეტყვით – მე გახლდით კრწანისის რაიონის პირველქიტი – საქართველოში თავისუფლების, სულიერი და ზნეობრივი სიწმინდის ზეობის ჟამს, რომელმაც დიდხანს ვერ გასტანა, მაგრამ უნათლესი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენთვის უცხო იყო ამომოხლები გარდა სხვა ღირებულებების, განსაკუთრებით კი მერკანტილიზმი, რომლითაც თქვენ და

თქვენი მთავრობის უკანასკნელ წვერამდე ერთსულოვნად ხართ გაუდენილი! თქვენზე ამბობენ სტიქაროსანი იყო, თუ ეს ასეა, წადით მოძღვართან, ხატზე დაიფიქვით და ხმამაღლა განაცხადეთ – დემეტოა დაწვევლოს ის ქართველი, მისი ოჯახი და მისი წევრები, ვისაც ოჯახში დაუმსახურებელი შემოსავალი შესდომდეს! შეგიძლიათ თქვენ ეს? – რა თქმა უნდა თქვენ ეს შეგიძლიათ, მაგრამ ამითი ანათემას გადასცემთ საკუთარი ოჯახიდან დაწვევული, მთელი თქვენი, ქვეყნის მმართველი პრეზიდენტით და მთავრობით, ვისაც კი ქვეყნის სადავები უპყრიათ ხელთ და, თქვენ ამას არ იხამთ, რადგან, თუ მეტი არაფერი გამოგვკვთ ქრისტიანული იმ ეკლესიიდან, სადაც თქვენ სტიქაროსნობდით – იმედი მაქვს ღვთის შიში მაინც გაქნებათ!

მასხენდება 1991 წლის სექტემბერი, როცა შეტევაზე გადმოდიოდა ქვეყნის დამატკევერი ნაწილი, მაშინ რომ ოპოზიციას უწოდებდა თავის თავს – იმდროინდელ მთავრობას აძალებდნენ სასწრაფოდ დაეწყო პრივატიზაცია და გაესხვისებინა ყველაფერი რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. ამ საკითხს მაშინ „ჰეღლსინგის კავშირმა“ სპეციალური კონფერენცია მიუძღვნა. როცა ჩემი ჯერი დადგა, გამომეთქვა აზრი პრივატიზაციასთან დაკავშირებით, რომლის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, განვაცხადე – კრწანისის რაიონი განსაკუთრებულია დედაქალაქში თავისი შინაარსით და დანიშნულებით, წარსულით და დღევანდელით, რომელზეც არ უნდა გავრცელდეს საერთო პრივატიზაციის კანონი, რადგანაც მე ვერ ვხედავ დღეს ფინანსურად შემძლე ქართველს (მაშინ არ იყო საქართველო ჯერ კიდევ გაძარცვული, რადგან არც „მოქალაქიანი“ გვეყავა და არც „ნაციონალიზმი“), ან ქართველთა ჯგუფს, რომელიც შეიძენდა მის ისტორიულ ნაწილს. ამიტომაც, იგი რომ გადამიტოვდეს არ ჩაუვარდეს ხელში, რომელიც შემდგომში მამასისხლად არ დაგვიბრუნებს მას, უმჯობესია იგი სახელმწიფოს დარჩეს და მასზე გარკვეული დროით მაინც არ განხორციელდეს საერთო კანონი პრივატიზაციაზე. მე მოვიყვანე ავსტრიის ქალაქ გმუნდენის მაგალითი, სადაც გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა ქალაქის ძველი ნაწილის რესტავრაცია, რომელსაც 12.000 მოსახლეობით ქალაქის სტატუსი მე-13 საუკუნეში მიენიჭა. რესტავრირებულ, ისტორიულ ნაწილში მოსახლეობა 12.000-ზე დაიყვანეს. ამიერიდან ქალაქის ნამატი ნაწილი ავტომატურად ახალაშენებულ უბანში გადადიოდა საცხოვრებლად. წერილიც გამოქვეყნდა მაშინ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე „ახალგაზრდა კომუნისტში“.

ყველა არც მაშინ შეხვედრია ჩემს წინადადებას ადფროვანებით, მაგრამ იგი მიღებულ იქნა და ერთი სახლი არ გაყიდულა, ერთი უსახური ჯისური არ დაგვეჭულა მის ტერიტორიაზე! მართალია, ქვეყნის მტრებმა დიდხანს არ დაგვეცალეს, მაგრამ ის მაინც შევიძელით, რომ მოსახლეობაში ქალაქის ძველი ნაწილის ხელშეუხებლობის მყარი აზრი დაგვემკვიდრებინა. მაშინაც იყვნენ პირატები, რომლებიც არაფერს თაკილობდნენ ოღონდ მიეტაცებინათ, რასაც კი შეძლებდნენ. კარგახანს მშვიდობიანად ვიგერიეთ ისინი და ქალაქი გაუფიდავი შევიწარმნეთ, ვიდრე თქვენი და თქვენისთანების სულიერი და გენეტიკური წინაპრები, ჩვენი ნებით დაუთმობელს, იარაღით და ცეცხლით თავს დაგვაშობდნენ.

დავით ქობალია P.S. ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, იძულებული ვარ, ამჯერად აქ დავსვა წერტილი და სხვა დროს გავაგრძელო საუბარი იმ უამრავ საჭირობო საკითხზე, თქვენი და თქვენი მთავრობის მოსვლის შემდეგ რომ დაგროვდა ქვეყანაში. მე იმის ილუზია არ მაქვს ამით რაიმეს გამოვასწორობ, მაგრამ იმას კი ვიმედოვნებ, რომ ხელს შევიშლით ქვეყნის სულიერად და ფიზიკურად გულმოდგინედ ნგრევაში!



# 2007 წლის 7 ნოემბერს

## დაზარალებულები სამართალს სტრასბურგში ეძებენ

ვახტანგ ინასარიძე:

„გამანადგურეს და დაზარალებულადაც კი არ მცნეს“

7 ნოემბერს დაშავებულმა ადამიანებმა, რომლებმაც უმძიმესი ტრავმები მიიღეს, თავიანთი თავის დაზარალებულად ცნობას მოითხოვეს, თუმცა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ქართულ სასამართლო სისტემაში ვერ მიაღწიეს.

მმართველი გუნდი ირწმუნება, დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ და სიტყვის თავისუფლების ხარისხი ჩვენს ქვეყანაში ზენიტშიაო, თუმცა „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოებამ ნახა, თუ რამდენი ადამიანი შეეწირა თავისუფალ სიტყვას, რამდენმა მიიღო სხეულის უმძიმესი დაზიანება. 2007 წლის 7 ნოემბერი ხელისუფლებამ გამარჯვებულ, საზოგადოებამ კი ტრაგედია შეაგვიანა. 7 ნოემბერი, მართლაც, ტრაგედიაა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც სხეულის იმდენად მძიმე დაზიანებები მიიღეს, რომ სამუდამოდ დაინვალიდნენ. ხელისუფლება კი ამ ადამიანებს დაზარალებულადაც არ აღიარებს.

ექსპერტიზის დასკვნით, 7 ნოემბერს დაშავებულ რამდენიმე ადამიანს ცეცხლსასროლი იარაღით აქვს ჭრილობა მიყენებული, რამაც მათი სამუდამო დაინვალირება გამოიწვია. დაზარალებულებმა პროკურატურაში საჩივარი შეიტანეს და დამაშავებთა დასჯას მოითხოვეს.

ვახტანგ ინასარიძეს, ნიკა დიდიშვილს, გიორგი თევდორაშვილს (რომელიც მაშინ მხოლოდ 19 წლის იყო) მთელი ცხოვრების მანძილზე ტრავმა ყოველდღე გაახსენებს

2007 წლის 7 ნოემბერს.

დაზარალებულებს ფუტკეხადი ნივთიერება ფეხებში აქვთ მოხვედრილი და ამიტომაც ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ის სიცოცხლისთვის საშიში არაა. იმავე ექსპერტიზის დასკვნით, დაშავების ადგილი რომ სხეულის სხვა ნაწილი ყოფილიყო, დაზარალებულები აუცილებლად გარდაიცვლებოდნენ. კონკრეტულ პოლიტიკოსთა ამბიციებისა და ხალხის მიმართ მათი გულგრილობის გამო გიორგი თევდორაშვილი ყავარჯნებით გადაადგილდება და არ იცის, დამოუკიდებლად სიარულს როდის შეძლებს. ვახტანგ ინასარიძეს კი საერთოდ არ სურს 7 ნოემბრის გახსენება და მხოლოდ თავის ამჟამინდელ მდგომარეობას აღწერს:

– როგორ უნდა ვიყო? სიკვდილს ძლივს გადავურჩი, თუმცა არც ახლა ვარ კარგად. ძალიან მიჭირს სიარული, ყოველი 15 მეტრის გაგლის შემდეგ უნდა შევისვენო.

– ხელისუფლება თუ გაქცევთ ყურადღებას, პენსიას თუ იღებთ?

– არაფერს არაფერი დაუნიშნავს. საერთოდ არ მეხმარებოდა. ვის ვახსოვარ? ხელისუფლების წევრების დედაც, ცოლიც და შვილებიც... ასე დაწერეთ პირდაპირ. არ მსურს ამაზე საუბარი, გამანადგურეს, დაზარალებულადაც კი არ მცნეს, თითქოს თვითდაზიანება მიმეღოს ამ დღეს.

7 ნოემბერს დაზარალებულ გიორგი თევდორაშვილის ოპერაციის ხარჯები ჯანდაცვის სამინისტრომ დაფარა, ხოლო რეაბილიტაციისთვის, რომელიც წელიწადნახევარი გაგრძელდა, და რომლის 20 დღეც 1.300 ლარი ჯდება, ხარჯები ოჯახმა დაფარა.

ხელისუფლების არგუმენტი დარბეული მომიტინგეების მისამართით რუსული ინტერესების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება და აგენტობა იყო, თუმცა დაშავებულებს შორის ისეთებიც არიან, რომლებიც აქციებში საერთოდ არ მონაწილეობდნენ და შემთხვევით აღმოჩნდნენ იმ ადგილას, სადაც სპეცრაზმი ხალხს არბევდა.

მათ განსაკუთრებულ სისასტიკეს იხსენებს გიორგი თევდორაშვილი:

– ავლაბარში მეგობართან მივდიოდი. ღვინის დაღმართით წავდი, რადგან ვიცოდი, რომ ჩემი მეგობრები აქციაზე იქნებოდნენ და ვფიქრობ, იქ ვნახავ რამდენიმე მათგანს. როდესაც რიყეზე ჩავდი, ხალხის დარბევა დაწყებული იყო. უცებ დავინახე 13-14 წლის გოგონა, რომელიც მიწაზე ეგლო. წამოვავენე და ჩემსკენ რომ შემოვპრიალე, უცებ ფეხი რაღაცამ გამოვიწვია. გონება მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანაში დამიბრუნდა. 2 ლიტრი სისხლი დაეკარგე, ექიმებმა ძლივს გადაამარჩინეს. გამართულ სიარულზე აღარც კი ვფიქრობდი, ოღონდაც გადავრჩენილიყავი.

– საავადმყოფოში თუ მოინახულათ ვინმე ხელისუფლებიდან ან ოპოზიციიდან?

– არა, არავინ მოსულა, მხოლოდ ნინო ბურჯანაძე და ცვის წევრები იყვნენ (ნინო ბურჯანაძე 2007 წელს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, – რედ.). თუმცა არ უთქვამთ, რა მიზნით მესტუმრნენ.

დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრმა დაადგინა, რომ დაშავებულებს ცეცხლსასროლი იარაღიდან აქვთ ნარსოლი ტყეპი. მათი ადვოკატი ბესო ღვინიაშვილი 2007 წლიდან ცდილობდა, ისინი დაზარალებუ-

ლებად ეცნოთ, თუმცა ქართულ სასამართლოში, როგორც მოსალოდნელი იყო, სამართალი ვერ იპოვეს.

ბესო ღვინიაშვილი:

– უკვე მეორე წელია, ცვდილობთ ამ ადამიანების დაზარალებულებად აღიარებას. აუცილებელია იმ პირების დასჯა, ვინც ასეთი სისასტიკე ჩაიდინა.

– ისინი ხომ ნიღბებით იყვნენ, როგორ დადგინდება მათ ვინაობა, ვინც უშუალოდ ესროლა ამ ადამიანებს?

– დიახ, ნიღბებით იყვნენ, მაგრამ ისეთი ნივთიერება ნარსოლი, რომ მხოლოდ რამდენიმე კაცს ექნებოდა მისი გამოყენების უფლება; თუკი მოინდომებენ, ძალიან ადვილად იპოვიან დამაშავებებს.

– დაზარალებულებმა სტრასბურგში იჩივეს. როგორ ფიქრობთ, რა პასუხს მიიღებთ?

– წინასწარ არ ვიცი. დაზარალებულები ძალიან იმედგაცრუებულები არიან სახელმწიფოსგან. ქართულ სამართალში ვერ მოხერხდა ჩვენი სიმართლის დამტკიცება, იქნებ, ევროპული სასამართლო მაინც დაგვეხმაროს. საქართველოში სარჩელმა ყველა ინსტანცია ჩვენთვის უშედეგოდ გაიარა, ამიტომ სტრასბურგის გარდა დაშავებულებს სხვა გზა აღარ დარჩათ.

რა პასუხს მიიღებენ სტრასბურგიდან, ჯერ უცნობია; ფაქტი კი ერთია, რომ უმაღლეს ხელისუფალთა ნებას – ქვეყანაში არ იყოს გამოხატული თავისუფალი აზრი – რამდენიმე ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა.

მთაბზადა  
შორენა გოგოლაძე

# ტრაგედია, რომელიც არ დასრულებულა

თუ უფალმა ინება და კვირა დღეს დასვენების საშუალება მოგვცეცა, მცხეთას გავეშურებით ხოლმე (დიდ კონსტანტინეს სამშობლოს წარსულის სიყვარულსა და სხვა უამრავ სიკეთეში ვერ ვეჯობებთ, იმაში მაინც უნდა მივბადოთ, რომ ისტორიული ადგილები არ დავივიწყეთ). მარშრუტი მარტოია – ჯვრის მონასტერი-სვეტიცხოველი-სამთავროს მონასტერი, სადაც ბერი გაბრიელის წმინდა ნეშტი განისვენებს. იქვე ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საფლავის ქვა, რომელზეც აღნიშნულია: „არქიმანდრიტი გიორგი დადიანი, 1910-1964“. მონასტერში გვიტოხრეს, რომ გიორგი დადიანი შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტი იყო, საშინელი სიკვდილით აღესრულა მტრების ხელით, და იმდენად სასტიკი იყო მისი მკვლელობა, რომ შემდეგ საფლავის აღსრულებასაც არ გამოვიცხავდით. მცხეთაში იმდროინდელი დავკარბაღი, რომ იქ ხალხმრავლობა და საფლავს მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ.

მეტად მწირი მონაცემები შევავროვეთ სამეგრელოს ბრწყინვალე თავადის შთამომავალ ჯგებე დადიანზე, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს ჩვენს ხელს.

გიორგი (ჯგებე) დადიანი ზუგდიდში დაიბადა 1910 წელს, და როგორც ეს საქართველოშია მიღებული, გლეხის ოჯახში ჰყავდათ მიბარებული აღსაზრდელად. მას მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტი წარმატებით დაუმთავრებია 1933 წელს. სამუშაოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტალინგრადის სამმართველოში გაანაწილეს, სადაც გამოძიებლად მუშაობდა. მალე იგი პროკურატურის სისტემაში გადაიყვანეს, როგორც თავისი საქმის უბადლო მცოდნე. ეს ის პერიოდაა, როცა საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა გაფორმებული კლასობრივი ბრძოლა, აქედან გამომდინარე ყველა დრამატული შედეგით. ბოლშევიკრევილიციონერთა და კონტრრევოლუციონერთა ბრძოლა დიდ მსხვერპლს მოითხოვდა, რაც, როგორც ჩანს, მიუღწევლი იყო ღვთისმშობლის და ღრმად მორწმუნე ჯგებესათვის. 1937-1938 წლების მოვლენებს დაერთო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაც, რამაც ახალგაზრდა კაცი აიძულა, რომ წლობით ნალოლიაობაში სპეციალობისათვის თავი გაეხვედინა. იგი საქართველოში დაბრუნდა და საბოლოოდ გა-

დაწვივდა, რომ ხიფათითა და მოულოდნელობით აღსაყვამ საერო ცხოვრებისათვის თავი გაეხვედინა და ქრისტეს გზას შესდგომოდა. ასეც მოიქცა – 28 წლის ახალგაზრდა ბერად აღიკვეცა შიომღვიმის მონასტერში. სტალინის პერიოდში ეს შესაძლებელი იყო, რადგან მან შექმნა პატრიარქია და დიდად წყალობდა მართლმადიდებლურ რელიგიურ წრეებს, ხოლო როგორ ექცოდნენ სულიერ მამებს ხრუსთოვისა და ბრეჟნევის ეპოქაში, ეს ამ წერილშიც გამოჩნდება.

როგორც შიომღვიმის მონასტრის ბერები იხსენებენ, ჯგებე დადიანი მხოლოდ ტრაპეზის დროს თუ დასტოვებდა სენაკს. იგი ღოცებში ატარებდა დღეებს, თავისუფალ დროს მაგიდას უჯდა და წერდა, ხელნაწერებს კი სენაკის კედელში დატანებულ ხის კარადაში რუდუნებით ინახავდა. ვცდილობდით, რომ მელანი და ქალაქი არასოდეს დალეოდა, რადგან ვიცოდით, რომ უადრესად სერიოზულ საქმეს აკეთებდა. ზოგჯერ რაღაცას გვეთხავდა, მხოლოდ დამით უყვარდა მონასტრის ეზოში გამოსვლა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას აკვირდებოდა, თითქოს ცოურ მნათობა მოძრაობით ეწადა ბედისწერის საიდუმლოთა გამოცნობა...

ბედისწერა კი, თურმე, მართლაც საშინელ განსაცდელს უმზადებდა ამ უნიკალური აზროვნების მქონე ღრმად მორწმუნე ადამიანს.

როგორც ითქვა, მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დიდი მატერიალური გასაჭირი ადგათ ეკლესია-მონასტრებს. ჭეშმარიტ მორწმუნეებს ემინოდათ წმინდა სალოცავებში შესვლისა, რასაც შეიძლებოდა ხელისუფალთა რისხვა მოჰყოლოდა. მიუხედავად იმისა, რომ შიომღვიმის მონასტერი მატერიალურად შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მას ოქრო-ვერცხლით გაწყობილი უამრავი უნიკალური საეკლესიო საგანძური გააჩნდა. მონასტერში საკუთარი მეურნეობა გვექონდა გამართული და ასე თუ ისე, ვახერხებდით თავის გამოკვებას. წყალი შორიდან მოგვქონდა, ტყეებში ხილსა და კენკრას ვაგროვებდით, მარტილი და სხვა მოხმარების საგნებს სოფლის მალაზიაში ვყიდვლობდით. ერთი სიტყვით, ღოცვისაგან თავისუფალ დროს მივლი მონასტერი სა-მეურნეო საქმეებით იყო დაკავებული.

მაგრამ, ბერი გიორგი (ჯგებე) დადიანი არასოდეს შეგვიწუხებია ამა ქვეყნის ამოუბასთან ჭედლისთვის. ვიცოდით, რომ იგი ვეებერთელა საქმეს აკეთებდა ქართული ეონისა და სულიერებისათვის, ამიტომ ვცდილობდით მისთვის ძვირფასი დრო არ დაგვეკარგებინებია და ყოველნაირად ვუწყობდით ხელს.

ერთხელ, 1964 წლის შემოდგომაზე, მართლაც ჩვენთვის ავბედით დღეს მოხდა ისე, რომ სულიერი ძმები მონასტრის საქმეებზე წავიდ-წამოვიდნენ და ადგილზე მხოლოდ არქიმანდრიტი გიორგი (ჯგებე) დადიანი დარჩა. დილით მონასტერში ამოსულ ბერებს თვალწინ საშინელი სურათი გადაეშალა: მამა გიორგის სენაკის კედლები ერთიანად სისხლით იყო მოსვრილი, თავად არქიმანდრიტი კი არაკაცებს ნაჯახით აკეპულთ და მისი სხეულის ნაწილები იატაკზე მიმოფანტათ. როცა ელდად გაგვიარა, ვიფიქრეთ, რომ მძარცველები მონასტრის საგანძურს გაიტაცებდნენ. ყურადღებით დავათვალიერეთ ყველაფერი, მაგრამ საეკლესიო საგანძურიდან წადებული არაფერი იყო. მხოლოდ გიორგი (ჯგებე) დადიანის ხელნაწერებს ვერსად მივაკვლიეთ – იგი მკვლელებს წაუღო.

არც თუ ძალიან მალე მილიცია ამოვიდა, შემთხვევა აღწერეს და როცა განუცხდეთ, რომ მონასტრიდან მხოლოდ დადიანის ხელნაწერები იყო მოპარული, ეს ფაქტი უხალისოდ დააფიქსირეს ოქმში. ეს იყო და ეს, ამ საზარელი მკვლელობის გამოძიებით თავი დიდად არავის შეუწუხებია, კომუნისტური სისხლიანი ისტორია ყოველნაირად ცდილობდა, რომ ამ საშინელებით თავი მძიმე ფარად ჩამოეფარებინა, მაგრამ...

– საბჭოთა მთავრობამ მალევე დაივიწყა წადებული ბერი, მაგრამ ჩვენს გულგებში იგი დღესაც მზედ ანთია, როგორც წმინდა საქმეს შეწირული მსხვერპლი! – დაასრულეს ნაღვლიანი ისტორია ბერებმა.

ბუნებრივია, დიდი საფიქროლო და მრავალი შეკითხვა გაგვიჩინა ბერების მონათხრობმა. დღევანდელი მთავრობა რომ კომუნისტური რეჟიმის სამართალმემკვიდრეა, ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი. ალბათ ამიტომაც არ სურთ დადიანის ტრაგედიაში ღრმად ჩახედვა – ვაი თუ ჩვენი რომელიმე დიდი ბოლშევიკი წინაპრის სახელს მიადგეს ჩრდილით. ზუსტად ისე, როგორც სულ-

მნათი ილია ჭავჭავაძის შემთხვევაში დაემართა.

ისიც ფაქტია, რომ კომუნისტებს საეკლესიო სფეროშიც ჰყავდათ თავიანთი მსტორები და ალბათ სწორედ მისგან შეიტყვეს, რომ გიორგი (ჯგებე) დადიანი რომელიც ეპოქალურ ნაწარმოებზე მუშაობდა, რომელიც დიდ სახელს მოუტანდა მას. კომუნისტების მოძღვრების უარყოფელი ჯგებე დადიანის მიერ სახელისა და ღირსების მოხვეჭა კი ავტომატურად აკინებდა კომუნისტურ იდეალებს. ასეთი ხალხის მიმართ კი ყოველთვის შეურთებელი იყვნენ ბოლშევიკები. ამიტომ, გამორიცხული არ არის, რომ უშიშროების ორგანოებს ეს ნაწარმოები გადაეცათ მათთვის უფრო სასურველი პიროვნებისათვის და ავტორადაც იგი გამოეცხადებინათ.

მაინც რა თემაზე შეეძლო ემუშავა (გიორგი) ჯგებე დადიანს და როგორი ხასიათის ნაწარმოებს შექმნიდა იგი? საკმარისად გამოცდილი კრიმინალისტი, რომელიც კარგად იცნობდა ცხოვრების ავკარგს, შექმნიდა ნაწარმოებს, რომელიც იქნებოდა კრიმინალური ისტორიების, ქურდული სამყაროს, მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების, გლეხთა ყოფის და რევოლუციური წიადსულების ამსახველი ეპიზოდების ლიტერატურული ნაწარმი.

დღეს ალბათ ცოცხლები არ არიან გიორგი (ჯგებე) დადიანის მკვლელები, მაგრამ მათ დარჩებოდათ შთამომავლები, რომელთაც შეიძლება რაიმე ციან ჯგებე დადიანის პიროვნებაზე და მისი ნაწარმოების ბედზე, რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიკარგა. გაზეთი „ილორი“ მაღლობელი იქნება ყველასი, ვინც თუნდაც რაიმე ინფორმაციას მიაწვდის გაზეთის სულმნათი არქიმანდრიტის გიორგი (ჯგებე) დადიანის პიროვნებაზე და მის დაკარგულ ნაწარმოებზე. იქნებ ასე მაინც მოვფინოთ ნათელი წმინდა მამაზე თავს დატყვიან ტრაგედიას და ღოცვით შევთხოვთ პატიება წამებით აღსრულებული უმწიკვლო ადამიანის სულს. სხვაგვარად, ამ საშინელი მკვლელობის სიმძიმე უნდა ატარონ არა მხოლოდ წმინდა ბერის სულთამშუთაგებმა, არამედ მთელმა ქართველმა ხალხმა...

როლანდ ჯალაღანია,  
დავით ქობალია



# ლაპრენტი ბერია — ქართული გენია



## სერგეი კრემლიოვი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი თარგმანი როლანდ ჯალალნიასი

მაგრამ ახლა სტალინის კავკასიაში პედაგოგად აღმოჩნდა, რომელიც არც თვითონ ისვენებს და არც სხვებს ასვენებს, რომელიც ნავთობის კომპლექსის "ხევის" მიღმა პრობლემების "ტყე" ხედავს, რეალური მასშტაბებითა და პერსპექტივით.

და რაც ყველაზე მეტად ღირებულია, იგი არ ელოდება მითითებებს ზემოდან და პირადი ინიციატივით მოქმედებს. ეს, "მუდმივი" პარტოკრატი სუსლოვი მოგვიანებით შეუდგება წრეწარმს: "ჩვენთვის არ დაუვალებათ", ბერია კი იცოდა, რა უნდა ეკეთებინა.

ბერიას საქციელის ფონზე, რომელსაც შეეძლო საკუთარ თავზე აედო გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა, სტალინის აღიზიანება სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა უნიათობა და გადაწყვეტილების მიღების უუნარობა... 1933 წლის 5 სექტემბერს სტალინს შემდეგი შინაარსის შიფოგრამა დაუდგეს მაგიდაზე:

**"მოსკოვიდან, 5 სექტემბერი, 1933 წელი, 1 საათი და 28 წუთი. შემოსვლის №18.**

**ა.ბ. სტალინი.**

**კომინტერნელი მითხოვენ, რომ დაჩქარდეს ინგლისის დამოუკიდებელი პარტიის კომინტერნის მიერ გამოგზავნილი პასუხის განხილვა.**

**თუ მასალები თქვენთანაა, გთხოვთ მცნობით თქვენი აზრი...**

**№18, კავანოვიზი."**

გაღიზიანებულმა სტალინმა იმავე შიფოგრამას მიაწერა:

**"თქვენი №18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მე არ ვარ ვალდებული პასუხი გავცე პოლიტბიუროს დასმულ ყველა საკითხს. ინგლისელ კომინტერნელებზე პასუხის გაცემა თქვენც შეგიძლიათ."**

**სტალინი."**

ბერია კი "ზემოდან" მითითებები არ სჭირდებოდა. კავკასიაში ხომ პრობლემათა მთელი იდგა, რომლის გადაწყვეტაზე დამოუკიდებლად მუშაობა მას ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა!

ეს ადგილები ხომ ოდითგან სამოთხედ ითვლებოდა. ტყუილად კი არ ჩამოვიდნენ აქ არგონავტები "ოქროს საწმისის" მოსაპოვებლად. პოტენციურად კავკასია აღსამაზესი და უმდიდრესი მხარეა, მაგრამ, ამ სიღამაზე და სიმდიდრეს რომ დაეუფლო, გარკვეული საშუაოს ჩატარებაა საჭირო.

რაც შეეხება კოლხიდას... 1934 წელს კონსტანტინე პაუსტოვსკიმ დაწერა პოემა "კოლხიდა", სადაც მთავარ გმირებს შორის იყვნენ ინჟინრები კახიანი და გაბუნია — რიონის მიერ დაჭაობებული დაბლობების დაშრობის ირგანიზატორები.

**"კოლხეთში ისეთივე ჰავაა, როგორც სამხრეთ იაპონიასა და სუმატრაზე. — ამბობდა ერთ-ერთი პერსონაჟი, მოსუცი პახიანი, — სითბო უხვადაა, მაგრამ ასევე უხვადაა მაღარიც. აქ არის რაღაც ტროპიკული კატორღის მსგავსი... ჭაობები რომ არ იყოს, ეს მხარე უმდიდრესი იქნებოდა დედამიწის ზურგზე..."**

მე შემოიღია ახალგაზრდა პაუსტოვსკის წიგნი ვრცლად მიმოვიხილო, მაგრამ მსურველებს ვურჩევ თავად წაიკითხონ იგი, რადგან თვით პუტინის რუსეთშიც კი ჯერ

არ დახურულა ყველა ბიბლიოთეკა და "კოლხიდას" მოძიება ძნელი საქმე არ უნდა იყოს.

წიგნის დასასრულს კახიანი წარმოთქვამს სიტყვას. მის შეკითხვაზე — ვინ იყო ავად მალარიით? — ხელი არ ასწია მხოლოდ "წითელხელსახვევიანმა პატარა ბიჭმა..."

და კახიანი ამბობს: "ჩვენი საქმე მხოლოდ იმიტომ კი არ არის თვალსაჩინო, რომ ვაშრობთ ჭაობებს და ქვეყანას ვენთ ახალ მიწებს, რომ პირფესვიანად ვანადგურებთ ჭაობის მცენარეებს და ვრგავთ ახალ ნერგებს, ჩვენი საქმე იმითაცაა თვალსაჩინო, რომ ვქმნით ახალ, ჯანმრთელ თაობას..."

პაუსტოვსკის წიგნში ბერიას გვარი ნახსენები არ არის, მაგრამ, რეალურად კახიანი და გაბუნის ბერიას "გუნდის" წევრებს წარმოადგენდნენ.

სხვათა შორის, კოლხიდის ჭაობების დაშრობა ბერიას გეგმის ერთ-ერთი მორიდებული ნაწილი იყო. მხოლოდ აფხაზეთში უნდა აშენებულიყო ტყვარჩელის მდაროები, სოხუმის ჰესი, შავი ზღვის რკინიგზა, უნდა განეფითარებინათ საცირტუსე მეურნეობა, თამბაქო, ჩაი... შავი ზღვისპირა მეორე მხარე აჭარაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ბათუმის პორტს, ნავთობის გადაამუშავების წარმოებას... და კვლავ ცირტუსები!

აი, თუნდაც ერთი ციფრი. 1932 წელს აჭარაში მოიწიეს 14 მილიონი ცირტუსის ნაყოფი, 1940 წელს კი მოსავალმა 315 მილიონი ცალი შეადგინა.

შავი ზღვის ნაპირებიდან მდღეა მთებისაკენ მიიწვევდნენ მწვანედ მოსილი დიდ-პატარა ქედები.

ყოველივე ამას კი ჭკვიანი თავი და მოხერხებული ხელები სჭირდებოდა.

მაშინ ორახელაშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველო არ შეიძლება გახდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი მწარმოებელი — მთის ფერდობებზე დიდ მოსავალს ვერ მოიწვევს. იგი სიმინდის ყანების გაზრდის მომხრე იყო, მეციტრუსეობას კი ეწინააღმდეგებოდა — გლეხებს საჭმელი სჭირდება და არა ხილი...

სიმინდისა და ხორბლის მოყვანა ყუბანშიც შეიძლებოდა და, შემდეგ, საქართველოში ხორბლის შემოხიდა. მაგრამ, მანდარინი და ლიმონი...

ბერია კი შორს იყურებოდა და ღრმად აზროვნებდა. მას მართლაც ფართო თვალთახედვა ჰქონდა და სჯეროდა, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა მთელ სოციალისტურ სივრცეში.

და ეს ეხებოდა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას. 1932 წელს ბერია გამოდის ინიციატივით, რომ მოხდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაცია და მძიმე მრეწველობის ობიექტები უშუალოდ დაემორჩილონ სსრკ მძიმე მრეწველობის სამინისტროს. ეს იყო ბრწყინვალე ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. ახლა, ერთის მხრივ, ორგანიზაციის შექმნის შემდეგ უკვე წარმოადგინდა საქართველოს მრეწველობის განვითარების საქმე, ბერიას კი ხელი ესხნებოდა და ეძლეოდა ადგილობრივი მრეწველობის მრავალ უბანზე საქმის მოქნილად წარმართვის შესაძლებლობა. ეს ბრძნული პოლიტიკური გადაწყვეტილება ცახსდებოდა, რომელიც მრავალი ძაფით უკავშირდება ერთმანეთს რესპუბლიკური და საკავშირო მრეწველობას, რაც საბჭოთა საზოგადოების კონსოლიდაციას ნიშნავდა.

ყველა სხვა "მდივანი" სხვაგვარად აზროვნებდა...

ბერია ამის თაობაზე ლაპარაკობდა 1935 წლის 21-22 ივლისის თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე, სადაც გააკეთა მოხსენება თემაზე "ბოლშევიკური ორგანიზაციების საქართველოში მუშაობის შესახებ". აი, ნაწევრები მისი გამოსვლიდან: "ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა საქმოდ მრავალმხრივ ნაციონალისტურ მენშევიკურ შეხედულებათა სისტემას. ცნობილია, რომ ქართველ უკლონიტებს სურდათ თბილისის "განტვირთვა", რაც გულისხმობდა საქართველოს დედაქალაქიდან სხვა ქორონებთანა წარმოადგენლების, პირველ რიგში კი სომხების აყრას და გასახლებას. ცნობილია აგრეთვე, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ "გელური" კორდონის დეგრეტის ფაქტი, რაც საქართველოს მთლიანად ჩამოაშორებდა საბჭოთა რესპუბლიკებს... აი, ეს საბუთები: 1) 1922 წლის 21 მარტს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ა.ბ. ფ. მახარაძე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა.ბ. მ. ოკუჯავა აგზავნიან შემდეგი შინაარსის დეპეშას: "დღეიდან საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი ცხადდება ჩაკეტილად (სიცოცხლი დარბაზში) და ლტოლვილთა აქ შემოსვლა იკრძალება; 2) ის პირები, ვისაც საქართველოში შემოსვლის სურვილი ექნებათ, ნებართვის მისაღებად გადაიხდიან 50.000 მანეთს (სიცოცხლი დარბაზში)... 3) ის პირები, ვინც საქართველოში მოხდნენ 1817 წლამდე და გამოთქამენ აქ ცხოვრების სურვილს, ნებართვაში გადაიხდიან ერთ მილიონ მანეთს; 4) საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს ის ქართველი ქალი, ვინც ცოლად გაჰყვება უცხოელს (სიცოცხლი დარბაზში)..." კითხულობ ამას, ადარებ დღევანდელს და უნებლიედ ფიქრობ: "სევდიანია ეს ყველაფერი, ამხანაგებო, სევდიანი..." და სახიზრობდა!

სწორედ ბერიას ეს გამოსვლა, რომელიც მალე მომცრო ბროშურად გამოიცა, მოგვიანებით მის წინააღმდეგ ბრალდების წამოწვევის საბაბად იქცა, იმ მოტივით, რომ თითქოს და ბერია ყოველივე ეს სტალინის "საამებლად" გააკეთა. ბერია მართლაც აღნიშნა, რომ "კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის მისი დაარსების პირველი დღიდან უწყვეტად და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტალინის სახელთან". სწორედ ეს არ აპატიეს ბერიას ძველი თაობის ბოლშევიკებმა, მოგვიანებით კი ანტონოვ-ოვსენკომ.

არა და, ეს ყველაფერი სიმართლეა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ 1905 წელს ლენინმა მაღალი შეფასება მისცა სტალინის სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "პროლეტარიატის ბრძოლის" მეორე ნომერში, რომელიც იქვე ითარგმნა რუსულ ენაზე. და არა იმიტომ, რომ 1901 წელს სტალინის თანადროებით დაარსებულ ამ გაზეთის ჯერ "ბრძოლა" ერქვა ("ისკრის" გამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ). სტატია მართლაც საინტერესო და აქტუალური იყო და დაიბეჭდა მანამდე, ვიდრე განდებოდა მცნება "ბოლშევიკი".

და არც იმაში იყო საქმე, რომ "კობა" პირველად ჯერ კიდევ 1903 წელს გადაასახლეს ციმბორში, ირკუტსკის გუბერნიაში და მთელი ეს წლები სტალინმა ლენინთან ერთად გაატარა...

საქმე იმაშია, თუ როგორ ვინმე იქცა სტალინი ახალ რუსეთში. ერთმანეთს რომ შეგუდართო მისი რევოლუციის შემდგომი პოლიტიკური და ორგანიზაციული მასშტაბი და ბუღუ მდივანისთანა ხალხის შესაძლებლობები, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ასე არ ხდება, რომ ადამიანი ახალგაზრდობაში დიდი ვერაფერი ბედენა იყოს, ხანდაზმულობაში კი იმ დიდ ბედად და დევმირად იქცეს, რომელსაც ყველაფერი ხელეწიფება.

სტალინის წინაშე ჩერხილიც კი მორჩილად იდგა ხოლმე, ბუღუ მდივანი კი... მას ამრეზით უყურებდა...

ამას ხომ ვერავინ უარყოფს!

გარდა ამისა, სტალინის წამართველ როლზე ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ცხოვრებაში ინფორმაციას შეხვედებით არა მხოლოდ ბერიას ბროშურაში, არამედ სხვა წყაროებშიც. მაგალითად, 1904 წლის 8 ოქტომბერს ტფილისის "ოხრანის" განყოფილებაში გახდა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: "ჯულიაშვილი გაიქცა გადასახლებიდან და ახლა იგი საქართველოს მუშათა პარტიის თავადაცა".

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ტფილისის "ოხრანის" თანამშრომლებმა ეს ჩანაწერი გააკეთეს ბერიას არგუმენტის გასაძლიერებლად.

და კიდევ ერთი... იმსაც ამბობენ, რომ ეს ბროშურა ბერია სტალინის დაკვეთით გააკეთა... მაგრამ, აი, როგორ აღმოვითქვამოდა სტალინი კავანოვის, ეკოუსა (მაშინ ვეკას საორგანიზაციო განყოფილების უფროსს) და მოლოტოვს 1935 წლის 17 აგვისტოს:

**"გთხოვთ აუკრძალოთ ბერიას ჩემი 1905-1910 წლის წერილების ხელმოწერა გამოცემა ჩემი სანქციის გარეშე. მიზეზი ისაა, რომ წიგნი გამოცემულია აგდებულად, ბევრი შეცდომაა ლენინის ციტატებში, რომლის ჩამსწორებელი ჩემს გარდა არააინაა (საინტერესოა, რას აკეთებდნენ ამ დროს სტალინის რეფერენტები — ს.კ.), მე რამდენჯერმე ვუთხარი უარი ბერიას ამ წიგნის ხელმოწერა გამოცემაზე მაგრამ იგი არ მიჯერებს. ამიტომ მინდა, რომ მკაცრად გააფრთხილოთ..."**

მე არ შეგუდებოდა იმის მტკიცებას, რომ ამ წიგნის გმირი ყოველთვის და ყველაფერში მხოლოდ სულგრძელ რაინდობას იჩენდა. მაგრამ საბუთები არანაირად არ დადადებენ ბერიას მიერ ჩადენილ მიუღებელ საქციელზე. გამოიცხადებული არ არის, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ ემოციებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ბერია მაინც დადებითად ხასიათდება.

ბერიას მიერ სტალინისადმი პრინციპული მითხოვნები მისი წიგნის მეორეჯერ გამოცემის თაობაზე ფაქტად რჩება. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც საქმე გვაქვს კომპეტენტურობასთან — პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და წმინდად ადამიანურ ჭრილში.

ნამდვილად ასეა! ერთის მხრივ, 30-იანი წლების შუაში საქართველოში ახალი თაობა ჩამოყალიბდა, რომლის სულიერი ფორმირება საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა და ბევრი მათგანი იცნობდა სტალინის იმ ნაშრომებს, რომელმაც იგი ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ლიდერად აქცია და რომელშიც ნათლად იყო გამოკვეთილი მისი მაღალი პოლიტიკური და ინტელექტუალური დონე.

მეორეს მხრივ, სწორედ საქართველოში მომრავლებული "ძველი ბოლშევიკები" (მით უმეტეს, ყოფილი მენშევიკები) აქტიურად ავრცელებდნენ ხმებს სტალინის მეორეხარისხოვან როლზე რევოლუციური ბრძოლების საწყის ეტაპზე.

და არა მარტო ხმებს ავრცელებდნენ. ავიღოთ პირველი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-19 ტომი, რომლის რედკოლეგიის წევრები იყვნენ ბუხარინი, პიატაკოვი და სხვა ოპოზიციონერები.

სარედაქციო მუშაობა ტომზე, რომელშიც გამოქვეყნებული იყო სტატია "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", დამთავრდა 1930 წლის 1 ნოემბერს. სტალინი უკვე რვა წლის დანიშნული იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

გვარძელება იქნება



# “კოლხები – ქართველების წინაპრები”

(ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას აკადემიკოს ანზორ შონიას ამავე სახელწოდების წიგნიდან)

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს მი-  
აჩნია, რომ „ქართლი“ ნაწარმოებია ცნე-  
ბიდან „ქართველები“.

„ქართველები“ მას მიანიჭა ქართული ტო-  
მების აღმოსავლეთ შტოს სახელწოდე-  
ბად, რომლებსაც ანტიკური მსოფლიო  
იწოდებდა „იბერიების“ ანუ „აღმოსავლეთ  
იბერიების“ სახელით, თითქოს იმ მიზნით,  
რომ ისინი განესხვავებინათ ეგრეთწოდე-  
ბული „დასავლეთის იბერიებისაგან“ (ეს-  
პანელი იბერიებისაგან).

ეფიქრობ, ეს მოსაზრება არასწორია, ამ  
მიზნით რა აუცილებელი იყო ქართვე-  
ბისათვის „აღმოსავლეთ იბერიები“ ეწოდე-  
ბინათ, როდესაც ტერმინი „ქართლი“  
ისედაც განსხვავებული იყო ტერმინ „იბე-  
რებისაგან“, ეს პირიქით იყო – იმ ეპოქის  
აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა  
„იბერიები“ იყვნენ და ამიტომ უწოდებდნენ  
მათ „აღმოსავლეთ იბერებს“, რომ გა-  
ნესხვავებინათ ესპანელი „იბერიებისაგან“.  
არსებობს აგრეთვე მოსაზრება, თით-  
ქოს ტერმინ „ქართლის“ წარმოიქმნა განა-  
პირობა იმან, რომ მეგრულ-ლაზები  
მესხეთ-ჯავახეთს „ქართლს“ უწოდებდნენ  
(„ქართლი“ – მეგრულად შემორჩენილი ად-  
გილი).

ეტიმოლოგია, მათ მესხეთ-ჯავახეთი ასეთ  
ადგილად მიანიშნავდა.

სწორედ ამას უკავშირებენ სამხრეთ  
საქართველოში „ქართველთა სამეფოს“  
წარმოქმნას.

სხვათა შორის, მეგრელები და ლაზები  
ქართლს დღესაც „ქართლს“ უწოდებენ.

ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის, რომ მხო-  
ლოდ „იბერიის სამეფოს“ მხოლოდ  
„ქართლის სამეფოს“ უწოდებდნენ, შესაძლე-  
ბელია შემდეგი გარემოებით იყოს განპი-  
რობებული – როგორც ცნობილია,  
„ქართლის ცხოვრების“ უძველესი  
ტექსტი სომხურ ენაზეა. მეცნიერები ვა-  
რაუდობენ, თითქოს იგი ქართულიდანაა  
ნათარგმნი, მაგრამ ქართული დედანი ნა-  
პოვნია არ არის.

რადგანაც სომხები ჩვენს ქვეყანას ყო-  
ველთვის „ვრასტანად“ მოიხსენიებდნენ,  
მიუხედავად იმისა, მას „იბერია“ ერქვა,  
„ქართლი“ თუ „საქართველო“, სავარაუდოა,  
რომ „იბერიის სამეფოსთვის“, „ქართლის  
სამეფოდ“ სახელდების იდეა ლეონტი  
მროველს კი არ ეკუთვნოდა, არამედ  
„ქართლის ცხოვრების“ ქართულად  
მთარგმნელს და ეს მომხდარიყო ერთიანი  
საქართველოს დაშლის (XV საუკუნე) მომ-  
დევნო ეპოქაში, როდესაც საქართველოს  
სამეფოს ბაზაზე „ქართლისა“ და „იმერე-  
თის“ სამეფოები წარმოიქმნა.

თითქმის გამორიცხულია მთარგმნე-  
ლისათვის მცნება „იბერია“ უცნობი ყო-  
ფილიყო, ეტიმოლოგია, მან შეგნებულად  
შეცვალა „იბერია“ „ქართლით“, ვინაიდან  
„ქართლის სამეფოს“ რეალურად უკვე არ-  
სებობდა და მიზანშეწონილად შეცვალა  
„ქართლის სამეფოს“ ისტორია ძველი  
წელთაღრიცხვის ეპოქიდან დაწყებუ-  
ლიყო, ხოლო ახლადწარმოქმნილ სამე-  
ფოსათვის „ქართლის“ სახელის  
დარქმევას ისტორიული საფუძველი ჰქო-  
ნოდა.

მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ ქარ-  
თული ვარიანტი, რომელიც გადაწერილია  
დაახლოებით 1480-1495 წლებში, კახეთის  
დედოფლის ანას ბრძანებით, რის გამოც  
მას „ანასეული“ ეწოდა, უძველესია  
დღემდე ცნობილ „ქართლის ცხოვრების“  
ნუსხათა შორის.

დღეს თითქმის შეუძლებელია ამის  
დადგენა და არცა აქვს არსებითი  
მნიშვნელობა.

სხვათა შორის, ქართველ ხალხში  
სხვადასხვა ეთნოსის არსებობაზე მო-  
საზრებას სათავე დაუდო ლეონტი მრო-  
ველმა. იგი წერს, რომ ძველი  
წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში  
ქართლში „აღრეულად“ ცხოვრობდნენ,  
გარდა ქართველებისა, სომხები, ხაზა-  
რები, ეივანდები, თურქები და ასურელები.

ფრაზით „აღრეულად მცხოვრებნი“,  
მროველი ფაქტობრივად გვარწმუნებს,  
თითქოს არა თუ ქართველებში, არამედ  
ქართლებშიც კი არ არის ერთი გენის  
დომინანტი, არამედ მრავალი გენის კონ-  
გლომერატი.

და ეს მაშინ, როდესაც ჰეროდოტეს (ძვ.  
წ. აღ. V საუკ.) მიხედვით, იმ ეპოქაში  
(დაახლოებით VI-V საუკუნეები) მროვე-  
ლის მიერ დასახელებული ხალხებიდან  
არც ერთი არ ცხოვრობდა კავკასიაში,  
ხოლო ჰეროდოტეს კომპეტენტურობისა  
და ობიექტურობის ეჭვის ქვეშ დაყენება  
უზნებოდა.

მით უმეტეს, იმ ეპოქაში ცნება „თურქი“  
საერთოდ არ არსებობდა და არც ტერ-  
მინი „ქართლია“ რომელიმე წყაროში ნახ-  
სენები.

უფრო მეტი, იმ ეპოქაში იბერიის  
(ქართლის) სამეფო ჯერ კიდევ არ იყო  
ნამოყალიბებული და ეს ტერიტორია  
კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში შედიოდა,  
ხოლო მროველის მიერ დასახელებული  
ხალხებიდან არც ერთი არ არის ნახსე-  
ნები იმ ტერიტორიულ ჯგუფებში, რომ-  
ლებიც ამ სამეფოში ცხოვრობდნენ.

ამრიგად, ლეონტი მროველის მოსაზრება  
აშკარად მოკლებულია რაიმე მეცნიერულ  
დებულებას, მაგრამ მიუხედავად ამისა,  
მროველის მიერ ქართლებსათვის სამი  
ეთნარქის, ქართლოსის, ჰეროსის, ეგრისის  
მიხედვით მყარად დაამკვიდრა შეხედულება,  
თითქოს ქართველებს სხვადასხვა წარმო-  
მავლობა აქვთ და სხვადასხვა ეთნოსის  
მატარებლები არიან.

არადა, მროველის ეპოქაში (დაახლოე-  
ბით XII-XIII საუკ.) საქართველო ერ-  
თიანი იყო, რაც მას აძლევდა მორალურ  
უფლებას, ქართველებისათვის ერთი ეთ-  
ნარქი მიეჩინა, იქნებოდა ეს ქართლოსი,  
ჰეროსი თუ ეგრისი. მით უმეტეს, ქართვე-  
ლები, მართლაც, ძირითადად ერთი ეთ-  
ნოსის ხალხია და როგორც აკადემიკოსი  
რისმაგ გორდეზიანი მიიხსენებს, შესაძლე-  
ბელია, მისი ფესვები კოლხეთში  
(ეგრისში) იყოს.

თუ ეს მოხდებოდა, ლოგიკურად იბა-  
დება კითხვა – მათგან რომელი შეიძლე-  
ბოდა ყოფილიყო ერთიანი ქართველი  
ერის წინაპარი, ეთნარქი?

აშკარაა, რომ თქმულება ქართველთა  
ეთნარქებზე ხელოვნურადაა შექმნილი  
და ხალხის ისტორიულ მახსოვრობას არ  
ასახავს.

თანაც ეტიმოლოგია, შექმნილია იმ ეპოქაში,  
როდესაც ქართლის სამეფო რეალურად  
არსებობდა და იბერიის სამეფო, ფაქტო-  
ბრივად დაევიწყებული იყო. წინააღმდეგ  
შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოს  
მკვიდრების ეთნარქი არ შეიძლება  
„ქართლოსი“ ყოფილიყო, ვინაიდან  
„ქართლი“ და „ქართლელები“, გარდა  
„ქართლის ცხოვრებისა“, არც ერთ წყა-  
როში ნახსენები არ არის.

უფრო მეტი, ძველი წელთაღრიცხვის  
ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში  
დასახელებულ 20-ზე მეტ სხვადასხვა  
ტომებს შორის „ქართლელები“ არ ჩანს.

ყოველ შემთხვევაში, ძველი წელთაღ-  
რიცხვის IV საუკუნეში კოლხეთის (ეგრი-  
სის) სამეფოს არმოსავლეთ ნაწილში  
წარმოიქმნენ მისგან დამოუკიდებელ  
ახალ სამეფოს დაერქვა „იბერიის სა-  
მეფო“ და მის მკვიდრებს – „იბერები“.

როდის მოხდა ტერმინის „იბერიის“ ჩა-  
ნაცვლება „ქართლით“ დღესაც დაუდგე-  
ნელია. მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო  
ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV  
ს.ს.), როდესაც იბერიის სამეფო უკვე  
აღარ არსებობდა.

ამდენად, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ  
პრინციპით, რომლითაც ლეონტი მრო-  
ველი კავკასიაში მცხოვრები ხალხების  
ეთნარქებს სახელებს არქმევდა, აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს მკვიდრების ეთნარქი  
უნდა ყოფილიყო არა „ქართლოსი“, არა-  
მედ „იბეროსი“, მაგრამ ის არ შეიძლე-  
ბოდა მთელი ქართველი ხალხის  
წინაპარი ყოფილიყო, ვინაიდან „იბერე-  
ბის“ წარმოიქმნა მდებარე ათასწლეულები  
ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ერთიან  
საქართველოს ეპოქაში (XI-XV ს.ს.) ეწო-

დათ „ქართველები“.

მართალია „ქართლის ცხოვრება“ არ  
ახსენებს, მაგრამ „იბერიის სამეფოს“ პა-  
რალელურად, კოლხეთის (ეგრისის) სა-  
მეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, იბერიიდან  
კასპიის ზღვამდე ტერიტორიაზე ჩამოყა-  
ლიბდა „ალბანეთის სამეფო“. აქაც თუ  
დავეთანხმებით ხალხებისათვის ეთნარ-  
ქების მიჩენის მროველისეულ მეთოდს,  
ალბანების ეთნარქის სახელი უნდა ყო-  
ფილიყო „ალბანოსი“.

რადგანაც ლეონტი მროველმა „ალბა-  
ნები“ არ ახსენა კავკასიის ხალხებში, მე-  
ტიველებს იმაზე, რომ „ქართლის  
ცხოვრების“ დაწერის ეპოქაში არც „ალ-  
ბანეთის სამეფო“ არსებობდა და არც  
ალბანები იყვნენ.

უფრო მეტი, ეტიმოლოგია, მროველისათვის  
უცნობია, რომ „ჰერეთი“ ალბანეთის და-  
სავლეთი რეგიონი იყო და „ჰერები“ ალ-  
ბანების მემკვიდრეები იყვნენ.

რადგანაც „ალბანები“, ისევე, როგორც  
„იბერები“, ფაქტობრივად, კოლხების  
(ეგრების) შთამომავლები იყვნენ, ვერც  
„ალბანოსი“ იქმნებოდა ქართველი ხალ-  
ხის წინაპარი, ეთნარქი.

როგორც ცნობილია „ჰერეთი“ (ფაქტო-  
ბრივად, დღევანდელი კახეთის ტერიტო-  
რია), როგორც ვარაუდობენ, იბერიის  
სამეფოს შემოუერთდა ვახტანგ გორგას-  
ლის ეპოქაში (V საუკ.).

ვინაიდან „ჰერები“ ალბანების მემკვი-  
დრეები იყვნენ, გამორიცხულია, მროველის  
მიერ ჰერების ეთნარქად მიჩნეული „ჰე-  
როსი“ ერთიანი ქართველი ხალხის ეთ-  
ნარქი ყოფილიყო.

„ქართლის ცხოვრება“ დასავლეთ სა-  
ქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს  
წარსულს არ ეხება. ეტიმოლოგია, მროველი-  
სათვის საერთოდ არ იყო ცნობილი კოლ-  
ხეთის სამეფო, მაგრამ ეგრისის სამეფოს  
მკვიდრებს, მეგრელებს ეთნარქად  
„ეგროსი“ მიუჩინა.

მართალია მროველმა შესანიშნავად  
იცოდა ლაზები, ჭანები, აფხაზები, სვანები და  
მარგველები, მაგრამ ისინი სრულიად კანონ-  
ზომიერად მეგრულ ტერიტორიულ ჯგუფე-  
ბად, მეგრელებად მიიჩნია, რის გამოც ყველა  
მათ ერთი ეთნარქი – „ეგროსი“ მიუჩინა.

სხვათა შორის, მროველის ეპოქაში  
(XII-XIII ს.ს.) ეგრისის სამეფოში, ჯერ  
კიდევ არ იყვნენ წარმოიქმნილი იმერეთის,  
გურიის, რაჭისა და აჭარის რეგიონები და  
არც იმერელები, გურულები, რაჭველები და  
აჭარელები იყვნენ.

რატომღაც მიღებულია, თითქოს კოლ-  
ხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა მხო-  
ლოდ დასავლეთ საქართველოს  
ტერიტორიას, მაგრამ ეს ახალი წელთაღ-  
რიცხვის ეპოქაა, მაშინ, როდესაც ძველი  
წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის  
(ეგრისის) სამეფო მოიცავდა ტერიტო-  
რიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე,  
ფაქტობრივად მთელ სამხრეთ კავკასიას,  
მათ შორის იბერიისა და ალბანეთის სა-  
მეფოების ტერიტორიებსაც, სადაც ძირი-  
თადად ცხოვრობდნენ კოლხები (ეგრები)  
და გავრცელებული იყო კოლხური, იგივე  
მეგრული ენა.

რადგანაც ამ სამეფოების წარმოიქმ-  
ნაზე მათ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ  
კოლხური (მეგრული) ტერიტორიული  
ჯგუფები, რომელთაც შემდგომში ეწოდათ  
იბერები და ალბანები (ძვ. წ. აღ. IV საუკ.)  
სრულიად კანონზომიერია, ისინიც კოლ-  
ხების (მეგრელების) მემკვიდრეებად მი-  
ვიჩინოთ.

ვერ გეტყვით, აზერბაიჯანელი ხალხის  
ჩამოყალიბებაში რომელმა მეზობელმა  
ხალხებმა მიიღეს მონაწილეობა, მაგრამ  
აშკარაა, რომ აზერბაიჯანელი ეთნოსი,  
ძირითადად, ალბანური (მეგრული) და  
თურქული ეთნოსებისაგან შედგება.

ეფიქრობ, ეს უნდა იცოდეს საზოგა-  
დოებამ, რათა გამოიკვეთოს ჩვენი ქვეყ-  
ნის წამყვანი როლი კავკასიაში, ძველი  
წელთაღრიცხვის ეპოქაში.

იმასთან დაკავშირებით, რომ შავი  
ზღვიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორიაზე  
ცხოვრობდნენ ტერიტორიული ჯგუფები,  
რომლებსაც კოლხები (მეგრელები)  
ერქვათ და ერთიანი საქართველოს ეპო-

ქაში (XI-XV ს.ს.) სწორედ მათ მემკვი-  
დრეებს ეწოდათ ქართველები, სრულიად  
ლოგიკურად მიმანია, მეგრული ხალხის  
ეთნარქი „ეგროსი“ აღიარებულ იქნას  
ქართველი ხალხის საერთო წინაპრად,  
ეთნარქად.

სხვათა შორის, როგორც ზემოთ  
აღვნიშნე, ზოგიერთი მეცნიერი ვარაუ-  
დობს, თითქოს კოლხეთის წინარე ეპო-  
ქაში ჩვენს ქვეყანას (მათ შორის  
დასავლეთ საქართველოსაც) „იბერია“  
ერქვა და მის მკვიდრებს „იბერები“.

თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, გა-  
მართლებული იქნებოდა ერთიანი ქართ-  
ველი ერის ეთნარქად „იბეროსი“  
მიგვეჩინა, მაგრამ ამის არავითარი ისტო-  
რიული წყარო არ არსებობს, გარდა ვა-  
რაუდისა, მაშინ, როდესაც გაცილებით  
რეალურია ის, რომ ბერძენებმა სწორედ  
ეგრისის სამეფოს დაარქვეს კოლხეთის  
სამეფო და მის მკვიდრებს მეგრელებს –  
კოლხები.

ამდენად, უფრო მიზანშეწონილი იქნე-  
ბოდა, ქართველი ერის საერთო წინაპრად,  
ეთნარქად აღიარებული ყოფილიყო  
„ეგროსი“.

დამერწმუნეთ, არა აქვს არსებითი  
მნიშვნელობა ქართველთა ეთნარქად  
„იბეროსს“ მივიჩნევთ თუ „ეგროსს“, მთა-  
ვარია, რომ ერთმნიშვნელოვნად ითქვას  
– ქართველებს ერთი წინაპარი, ეთნარქი  
ჰყავდათ და ქართველები ერთი ეთნოსის  
ხალხია.

რადგანაც „ქართლის ცხოვრებაში“ ეს  
ასე არ არის, სწორედ ამან დაუდო სათავე  
აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველების  
ერთმანეთისაგან ერთგვარ გამოიჯანსაღ  
კუთხური ცნობებების დამკვიდრებას,  
რამაც აშკარად გაართულა და გაა-  
ხანგრძლივა ერთიანი ქართველი ერის ჩა-  
მოყალიბების პროცესი და საქართველოს  
გაერთიანება.

ეტიმოლოგია ლეონტი მროველი დარწმუნე-  
ბულია, რომ ქართველები და მეგრე-  
ლები სხვადასხვა ხალხებია. მართლაც,  
ის ქართველთა ეთნარქად მხოლოდ  
ქართლოსს მიიჩნევს და როდესაც კავკა-  
სიის ხალხებს ჩამოთვლის, ქართველებს,  
მეგრელებსა და ჰერებს ცალ-ცალკე ხალ-  
ხებად მოიხსენიებს.

მას „ქართველი“ და „ქართლელები“  
იღებურ ცნებებად მიანიჭა, ფაქტობრი-  
ვად, ქართველად მხოლოდ ქართლელს  
მიიჩნევს, რაც აშკარად შეცდომაა.

ქართველი მეცნიერებიც აშკარად  
„ქართლის ცხოვრების“ გაყვანის ქვეშ  
არიან, რაზეც მეტიველებს ის გარემოება,  
რომ მათ, ფაქტობრივად, არასოდეს უღია-  
რებიათ ქართველ ხალხში ერთი ეთნო-  
სის არსებობა და იბერიისა  
(ქართლებების) და კოლხების (მეგრე-  
ლების) ერთიადიგივობა, მიუხედავად  
იმისა, რომ ამისი რეალური ისტორიული  
და მეცნიერული საფუძველი არსებობს.

ის, რომ ეგრისიც და ჰეროსიც ქარ-  
თველთა ეთნარქებად აღიარეს ისევე, რო-  
გორც ქართლოსი, ეტიმოლოგია მისხა  
ერთიანი საქართველოს მომდევნო ეპო-  
ქაში. ჩემთვის უცნობია, რომელ მოღვაწეს  
ეკუთვნის ეს ეროვნული იდეა, მაგრამ იგი  
უდავოდ დიდი პიროვნებაა, ვინაიდან სწო-  
რედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ აღ-  
მოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს  
მკვიდრები ერთი ჯიშის, ერთი მრწამსის  
ჰქმნიდნენ ქართველებად მოიზრებიან.

(გაგრძელება იქნება)





# სამიბრელოს დირსეული შვილები

## ღვაწლმოსილი კელაგობი და მეცნიერი

მარტვილის რაიონის საზოგადოება და სხვადასხვა რანგის ინტელიგენციის წარმომადგენლები არასოდეს დაივიწყებენ ღვაწლმოსილ პედაგოგსა და მეცნიერს, არაერთი თაობის აღმზრდელს, სიკეთის მოთხოველსა და ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, ბატონ შალვა ჯღარკავას.

ბატონი შალვა წლების მანძილზე რაიონის სხვადასხვა სკოლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამავე დროს, გარდა მომავალი თაობის აღზრდისა, მის ფართო თვალსაწიერში მოექცა სამუზეუმო საქმიანობა. მის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ღვაწლმოსილი საშუალო სკოლაში ისტორიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის დაარსება.

1972 წელი დიდი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა ღვაწლმოსილი საშუალო სკოლის პედაგოგთათვის. ამ წელს გაიხსნა მუზეუმის ექსპოზიცია. პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა ჯღარკავამ თავის ერთგულ-პატივმოყვარე სული შთაბერა მუზეუმის მასალებით გამდიდრების საქმეს. სასკოლო მუზეუმში ათასზე მეტი სამუზეუმო ნივთი და ფოტო-დოკუმენტური მასალები ინახება, რომელიც ექსპონირებულია ბატონ შალვას უშუალო ხელმძღვანელობით, ნათლად ასახავენ ჩვენი მხარის იმ ღირებულებებსა და ტრადიციებს, რომლითაც ამჟამად ქართველი ერი...

დიდი ივ. ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ცოდნის „თეთრი ტაძარი“, „ალმა-მატერი“, იყო ბატონ შალვას იდეალი. იგი ხომ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერი და პედაგოგი. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ასევე წარმატებით დაამთავრა თსუ-ის საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტურა და 1971 წელს უნივერსიტეტის ფაკულტეტის ისტორიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „სალიპარტიანო“. მეტად მრავალმხრივი იყო მისი სამეცნიერო მოღვაწეობა. 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის – შალვა ჯღარკავას მადლიანი კალამი შეეხო საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, პედაგოგიისა და სხვა საკითხებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის შალვა ჯღარკავას ურთიერთობა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან; კერძოდ კი, მის დამარსებებელთან და მესვეურთან ბატონ გივი ელიაგასთან.

ბატონი შალვა, როგორც ისტორიის მეცნიერ-მკვლევარი, დიდად იყო დაინტერესებული მუზეუმის საქმიანობით. მის კოლეგასთან – ბატონ გივისთან ერთად, იგი მუზეუმით სუნთქავდა და ცხოვრობდა. მის მიერ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიის მასალებში დაბეჭდილი მოხსენებები, რომლებიც სხვადასხვა რანგის საკითხებისადმი არის მიძღვნილი, გამოირჩევიან კვლევის ღრმა მეცნიერული დონით. აი, რამდენიმე მათგანი:

1. „მეცხენობის ისტორიიდან“;
2. „ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან“;
3. „სალიპარტიანოს ფეოდალური ერთეულის წარმოშობის საკითხისათვის“ და სხვ.

ძალზე ძნელია დაწერო იმ პიროვნებასა და მოღვაწეს, რომელიც სამუზეუმო, ჩვენს შორის აღარ არის. მასზე, როგორც აღმზრდელსა და მეცნიერზე, ბევრი რამ არის მოსაგონარი და დასაწერი. წინამდებარე ნაშრომში, მოკლედ შევეცადეთ ხაზი გაგვეხაზო მისი პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

### ამბროს ფაილოძე, აკადემიკოსი

## მუზეუმის ერთგული მეგობარი

მარტვილის მადლიან მიწაზე, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ელიაგას მიერ დაარსებულ კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერას – ერის სარკეს მუზეუმს, მრავალზე მრავალი პატივითი და გამოჩენილი მოღვაწე ილითგან აპყრობდნენ და დღესაც აპყრობენ თავიანთ ესოდენ დიდ ყურადღებას, მათი მადალსუფიერების მრწამსიდან გამომდინარე, მათ შორის ხაზგასმით უნდა

აღინიშნოს ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, საქართველოს ჭყონდიდელ-ცოტნეიდელთა საზოგადოების თავმჯდომარის, ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, მარტვილის საპატიო მოქალაქის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ურთიერთობა და პატივითი სიახლოვე მუზეუმთან. რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსმა ბატონმა ნუგზარმა თავისი გულისხმიერი დამოუკიდებელი მუშაუების მიმართ გამოხატა იმ უნიკალური მასალებით, რომელიც მუზეუმის მშენებელია. აი, ისინი: კანონიკური ხატი – გიორგი ჭყონდიდელი; წმინდა ანდრია მოციქულის ხატი; გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის სურათები და სხვა მრავალი სახის მასალები და ექსპონატები. მუზეუმის ხელმძღვანელობა და მუშაკები უდიდესი მადლიერების გრძობით არიან გამსჭვალული ერის სასიკადალო მამულიშვილისა და მეცნიერის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას მიმართ.

ღმერთმა უმრავლეს ჩვენს მადალცივილი-ზებულ ერს ასეთი მამულიშვილები და პატივითი აღამიანები. ბატონ ნუგზარ ნადარაიას ურთიერთობა მუზეუმთან, როგორც კოლხი ერის, კაცისა, კვლავაც გრძელდება. უნდა აღინიშნოს ბატონ ნუგზარის აქტიური მონაწილეობა მუზეუმის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში. მარტვილის ხელმძღვანელობა და მუზეუმის დირექცია ყოველწლიურად ატარებენ გიორგი ჭყონდიდელისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლის უცვლელი მონაწილე სხვა ცნობილ მეცნიერებთან და მოღვაწეებთან ერთად გახლავთ ბატონი ნუგზარ ნადარაია.

გივი (გია) ელიაგა ფაზისის საერო აკადემიის წევრი

# ჩავიდა რუსთავეში და ნახა აფხაზეთი!



გახსოვთ, ალბათ, დიდი ილიას ნათქვამი ისტორიული ფრაზა: „ჩავედი სამეგრელოში და ვნახე საქართველო“ რომლის პერფორანსაც წინამდებარე წერილის სათაურად შევარჩიე.

„მედიანიუსის“ ცნობით, აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური მთავრობის, ანუ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ბარამია რუსთავეში საკვირაო სკოლას ეწვია და სკოლის ეზოში უზოუკელოდ (ალბათ, აფხაზეთში? – ავტ.) დაკარგულთა შემორჩენილი გვირგვინით შეუმკია! სკოლის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომებიც გადაუცია და სკოლის პედაგოგებისათვის „აფხაზური ენის საფუძვლიანი სწავლებისთვის“ მადლობა გადაუხდია!

მოდი და ნუ გაგიჟდები სიხარულით. ამაზე თუ ამბობდა პოეტი: „ამას ნატრობდა ჩუმის ნატვრითა ქართველი.“ ჰოდა, მოდი და ნუ დაუჯერებ ჩვენს პრეზიდენტს, ამას წინათ მცხეთაში ბეტონის ზელების ფონზე (ეს მერამდენედ) სათავისოდ რომ მიმოიხილა ჰეიდე ტალიაინის დასკვნა, რომ დაახეტქა, არაფერიც არ დაგვიკარგავს და, ვინც ამბობს ტერიტორიები დაკარგვთ, ტყინები აქვთ დაკარგულით, თუ რაღაც ამის მსგავსი აბრაკადაბრა!

აგერ გიორგი ბარამიას ტვინში ყველაფერი რიგზე აქვს და იპოვა რუსთავეში აფხაზეთი. მეტი რა გზა ჰქონდა, როდესაც დაგვიფასეთ საქართველოს ხელისუფალს, როცა კოდორის ხეობას შემოაფხაზეთი დაარქვა, ანუ თოფის გაუსროლელად, უცბად რომ დაიბრუნა აფხაზეთის ზემოთა მხარე. იმდენი უძახეს ქვეყნის გამყიდველმა, უმადურმა ქართველებმა, რომ ბაგაფშიც დაიჯერებს, დალის

ხეობა აფხაზეთი ყოფილა და როცა მომენტს იშოვის, ამაყად მოფრიალენ ხუთჯერძიან დროშას, საკუთარით შეცვლისო, რომ, ენდუ! შარშან, აგვისტოში, დრო იხელთა, იქაური ქართველები, ვაჟკაცი სვანები, რომლებიც მანამდე ნაცვებმა წინდახედულად განაიარაღეს, თოფი არ გაგარდნილა, ისე დაიფრინა!

ჰოდა, ვიყოთ ახლა ასე – ვიაროთ რუსთავეის „აფხაზურ“ სკოლებში, მარნეულის „აფხაზურ“ უნივერსიტეტში, საგარეჯოს „აფხაზურ“ თეატრში და ა.შ.

ჰო, ამ ყველაფერმა ცხონებული ჯაბა ოსელოანის ერთი ხუმრობა გამახსენა – როცა ძალიან შაღონეს აფხაზეთიდან ღტოლვილებმა, როდის დაებრუნდებით აფხაზეთშიო, ჯაბას უთქვამს, – დარგეთ ერთი-ორი პალმა მარნეულის ცენტრში და გეგც – თქვენი აფხაზეთიო.

როგორც იცით, იმ ბნელ დროს ყველაფერი დეფიციტი იყო, მათ შორის, ალბათ, პალმებიც. აბა, დღევანდელ, მიშას გენით გასხივოსნებულ ქვეყანას კი არ ჰგავდა მაშინდელი საქართველო?! ერთი-ორი პალმაც კი ვერ იშოვეს.

აი, სულ ახლახან თბილისის აეროპორტში 700 ათასი დოლარის ღირებულების პალმებით გაქმეილი თვითმფრინავი გვაჩვენეს, რომელიც მიშას მეგობარ (ასე თქვა ტელეწამყვანმა და რა კენა? – ავტ.) რომელიღაც არაბ შეიხს გამოუგზავნია (ახლაც იქირქილონ, მიშასთვის არავის უნდა ხელის ჩამორთმევაო, ენდუ! – ავტ.) პირადად მიშასთვის – ანაკლია და განმუხური მსოფლიოს ყველაზე მაგარი კურორტებიო (გავრის, ბიჭვინთისა და რიწის

მახინჯი დედა ვატირე! – ავტ.), ხალხს რომ „აბოლუტ“, ცოტათი მაინც რომ დაგვიჯერონ, ჩემი გამოგზავნილი პალმებით მორთო!

ჰოდა, კარგი იქნება თუ შეიხის პალმებიდან რამდენიმე ძირს აფხაზეთის ე. წ. ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარეს, ამხანაგ გიორგი ბარამიას გამოუყოფენ, რათა რამდენიმე ცალი რუსთავეის აფხაზური სკოლის ეზოში დარგონ; დანარჩენი კი საქართველოს იმ რეგიონებსა თუ ქალაქებში გადაანაწილონ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზეთიდან დევნილები.

„მახოდუ“, რატომღაც ამ ბოლო დროს მივიწყებული კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ ამოიღონ ნაფტალიანიდან და მეტი რაღა უნდა დევნილებს? თვალდები და ხეჭონ და მერაბ სეფაშვილის ხმას მოუსმინონ: „მოდიხარ სოხუმში?“, თვალებს გაახელენ და შეიხის პალმებს დაინახავენ. მომავალში, იქნებ, მიშას მეგობარმა არაბმა მაგნოლებს ნერგებიც გაგვიჩაღიოს და აფხაზეთის დაბრუნების ვირტუალური სურათი მაგნოლია-პალმების „რეალობით“ გამოიდრდება.

ჰო, მართალია, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ე. წ. ლეგიტიმურმა მთავრობამ და მისმა დირექტორმა, ამხანაგმა სანაკოემა რა დააშავა? რომელსაც, კაცმა არ იცის, სად და რისთვის დააპროწილებენ, ბრიუსელი იქნება, ვენევა-სტრასბურგი თუ, აგერ სულ ახლახან, გაერო. გაეროში, სადაც მაგის შემხედვარეს, „შერეკილი“ ტრიფონიას ნათქვამი მახსენდებოდა: „ნეტა, ის შავი კაცი ვინ იყო, ჰა?“

მაგას არ ჯობია, რომ, თუნდაც წეროვანის გეტოში, ერთ-ერთ საქათმეში ოსური სახანოზინე და ჰამაც ოსური ლუღსახელი გაეხსნათ? თანაც იმ ზუმბას ნაფტალიანი კლიპის არ იყოს, „ოკოითი ფანდარასტიც“ გავიხსენოთ, დილა-საღამოს ვასმენინოთ სამამაბლოდან გამოქვეყნებულ და შარშანდელი აგვისტოს ტრაგიკულ შედეგებსაც ვირტუალურ-ხაბიზგინურად აღმოგვხვრით.

თორემ ცოცხალი მიშა, რაცხა 20% დაკარგა ტერიტორიებისა და რა მოხდა მერე, ყელში ხომ არ უნდა ამოეყვანათ? რაც შეეძლო, ხომ გააკეთა? მთავარი, ხომ პირველებმა „გვიეთ“ რუსებს? მერე რა, რომ, კინაზ ფანტაშეილის არ იყოს, მოგვიბრუნდნენ და აი, ჯინჯილეებითა, ჩინმენდლებითა ერთი და შოშიანად, მამაპაპურათა რო გვეყვებს!..“

სამაგიეროდ, ოპოზიციის გულისგასახეთქად და ჯინაზე მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ! ჰოდა, ვიმდეროთ ახლა შეიხის პალმების ჩრდილში „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“ და ვიფიქროთ წეროვანის ხაბიზგინების სურველში „ოკოითი ფანდარასტიც“. ამასობაში 2013 წელიც მოვა, მიშას მეფეთ თუ არა, პრემიერ-მინისტრად მაინც ვაკურთხებთ და სოფელიც აშენდება...

დავით მხეიძე



რემო ბენელიანი:

ოკუპაციის შესახებ კანონი ქართველებისა და აფხაზების დაახლოებას აფერხებს

...ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა საფაქრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, სურჩა, შამგონა, ფახულანი, მუჭავა, ჭალე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია...

ამას წინათ ქართველი და აფხაზი ნათესავები ერთმანეთს ენგურისპირა სოფელ განმუხურში შეხვდნენ. ამ დღეებში შეხვედრას ისევ ენგურისპირას – ხურჩაში შედგა. პარალელურად, აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით ერთმანეთს შეხვდნენ ქ. გალში. ხურჩა მუგდის რაიონის ეკუთვნის. აქ მცხოვრები 120-მდე კომლს მრავალი ჭირ-ვარამი აქვს გადატანილი. გალის რაიონის სოფ. ნაბაკევისაგან ხურჩას პატარა მდინარე ხურჩა ყოფს, რომელზეც საცალფეხო პატარა ხილია გადებული. ამ ხილს აფხაზები საზღვარს ეხებიან. გზა შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ გადაიხარეს, აფხაზები კი მთელი თვე დათარეშობდნენ ხურჩაში. ამან უამრავი ტკივილი გაუქინა მცხოვრებთ. სოფლის თავკაცს ფრიდონ კვარაცხელიას გულის თქერაცია დასჭირდა. უგზობობის გამო იგი იძულებული გახდა, ადიღე-

ბული ენგური ნავით გადაეცურა. „არა მარტო მე, არამედ მთელი სოფლის მოსახლეობა სამკურნალონი ვართ, მიიმე მდგომარეობაშია ბევრი ჩემი თანასოფელი. მოსახლეობა რამდენჯერმე ააწიოკვს, რის შემდეგაც კარ-მიდამოს დატოვება მოუხდა. ამან შეარყია ჩვენი ჯანმრთელობა. ჩემს სახლში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც არის ნამყოფი. მან გვითხრა – ხურჩელები გვირები ხართ, თუმცა ამას იქით საქმე არ წასულა. ყურადღებას არაფერი გაგაქცევს, ჩვენთვის მიუწვდომელია სამედიცინო დახმარება. განა არ შეიძლება, უფასო გამოკვლევები ჩავგიტაროთ ხალხს“, – ამბობს ფრიდონ კვარაცხელია.

სოფლის მცხოვრებთ მუგდისში ჩასვლა 4 ლარი უჯდება. ხურჩელების განმარტებით, მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლებას ავტობუსის დანიშვნის მოთხოვნით, მაგრამ გამგებმა გზების უარვისობას იმიზეზებს. უგზობობისა და უტრანსპორტობის გამო ბავშვები ნაბაკევის სკოლაში დადიან, რადგან ხურჩაში საშუალო სკოლა არ არსებობს, სოფელ კოკის სკოლაში კი 4 კილომეტრია. ჯერჯერობით ნაბაკევისკენ მიმოსვლა არის, მაგრამ რუსების ან აფხაზების მხრიდან ყოველ წელსაა მოსალოდნელი ხურჩელი მოსწავლეებისთვის ე.წ. საზღვარზე გადასვლის აკრძალვა. ამ ეტაპზე შეგაღ მნიშვნელოვანია ქართველი და

აფხაზი ნათესავების ურთიერთობა. ახლახან მოწყობილმა შეხვედრამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის თავკაცი რემო ბენელიანი, ხოლო შეხვედრას უძღვებოდა გამოცდილი მწვრთნელი, ქალბატონი ქრისტინე კილანავა, ვფიქრობ, თავისი საქმე გააკეთა. შეხვედრის მონაწილე ქართველები და აფხაზები ნათესავებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების შესახებ. ითქვა, რომ ამჯერად ქართველებსა და აფხაზებს შორის მთავარია ნდობის ფაქტორის აღდგენა, რისთვისაც, უპირველესად, საჭიროა ურთიერთმიტევება, ამას კი ხელი ხელისუფლებამაც უნდა შეუწყოს.

შეხვედრამე აღინიშნა, რომ ხელისუფლების მიერ უგულებელყოფილია სამოქალაქო სამოგალოების მოთხოვნა – ხელისუფლებამ შეიმუშაოს კონფლიქტის მოგვარების გეგმა. გალის რაიონში ამ ბოლო დროს აფხაზებს რუსები ჩაენაცვლნენ. რუსებმა კარგად იციან, რომ გალი სუფთა ქართული რაიონია და იქ აფხაზებს არასოდეს უტოვრიათ. ისიც იციან, რომ შემოსავლიანი რაიონია, რის გამოც იქ თავს იყრიდნენ აფხაზები. ამიტომაც გადაწყვიტეს, თავად ღამკვიდრებულყვენენ, აფხაზები კი თავიანთი მშობლიური რაიონებისკენ გაეგზავნათ. აფხაზებთან შედარებით, რუსები მეტი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობიან გალის მო-

სახლეობას. ამ შეხვედრამე ესევ აღინიშნა და მიესალმებიან რუსების ამგვარ ქმედებას, ამ ფაქტს აქვს უარყოფითი მხარეც – რუსებმა გადაკეცეს ენგურზე ყველა გასასვლელი გზა, შედეგად კი მცხოვრებთა მიმოსვლა შეიმდგა. ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების“ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით დაგეგმილი იყო ე.წ. სამღერისპირა სოფლებში საფაქრო ბაზრობების გახსნა, რომელიც იქნებოდა ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალება, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამ სურვილის ასრულებას ხელს უშლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ.

„ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა საფაქრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, სურჩა, შამგონა, ფახულანი, მუჭავა, ჭალე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია, როგორც კი ამის შესაძლებლობა გვექნება, ამ პროექტს განვახორციელებთ“, – აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რემო ბენელიანმა.  
ლალო ქირია, მუგდი

ირაკლი ყანდარელი

ხალხთა შორის მტრობასა და კინკლაობას მეგობრობა და ძმური ურთიერთობა ჯობია; ის, რაც დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის ხდება, სრული უმსგავსობაა

დღეს ერთ დამსახურებულ ადამიანს ვაპატივებთ – 86 წლის ამაღიარო პიროვნება ირაკლი ყანდარელი ამჟამად გორში, სტალინის პროსპექტზე ცხოვრობს და მისი ბინის ფანჯრებიდან იოსებ სტალინის მონუმენტი მოჩანს.

ბატონი ირაკლი მრავალმხრივ საინტერესო ადამიანია. მთელი სიცოცხლე მან სამშობლოს სამსახურს, საბრძოლო დიდებებსა და ხალხთა მეგობრობის პროპაგანდას მიუძღვნა.

ირაკლი ყანდარელი თბილისში დაიბადა; აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და 1941 წელს, დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, მოხალისედ წავიდა ფრონტზე. 25 წელი იმსახურა მან საბჭოთა არმიის რიგებში, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი გორში, საკუთარ კომუნალურ ბინაში დააარსა საბრძოლო დიდებისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმი და დღემდე ამ საქმეს ემსახურება.

ბატონი ირაკლი გახლავთ დიდი სამამულო ომის ჯგუფის ინვალიდი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირების წევრი; კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის საქართველოს კულტურის მინისტრობისას მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება; არის ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ჩეხეთის რვა ქალაქის და სოფლის საპატიო მოქალაქე, უკრაინის უმაღლესი, მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის უმაღლესი ჯილდოს – „ხალხთა მეგობრობის განვითარებაში წვლილის შეტანისათვის“ ერთადერთი მფლობელი საქართველოში და ა.შ. და ა.შ. მისი წოდებების ჩამთავრება, ალბათ, მთელი საგაზეთო გვერდი არ ვყოფი.

გარდა იმისა, რომ ბატონმა ირაკლიმ დიდი სამამულო ომის დროს დიდი საბრძოლო გზა გაიარა საქართველოდან პრადამდე და უამრავი საბრძოლო ჯილდო მიიღო, არანაკლები ჯილდოები და აღიარება მოიპოვა მის მიერ დაარსებულმა მუზეუმმაც.

როდესაც პრესით გაერცვლდა ინფორმაცია ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის – „ისტორიული მემკვიდრეობა“ – საქმიანობის შესახებ, ბატონმა ირაკლიმ თვითონ მოგვებნა და ტელეფონით მოკლედ გაგვაცნო თავისი საქმიანობა. შემდეგ უკვე გორში ვესტუმრეთ ბატონ ირაკლის, დავათვალიერეთ მისი მუზეუმი და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

– ბატონო ირაკლი, თუ შეიძლება, თქვენი პირველი საბრძოლო ნათლობის შესახებ გვიამბეთ.

– 1941 წელს, როცა ომი დაიწყო, ფრონტზე წასასვლელად მოხალისედ ჩავეწერე; თავდაპირველად თბილისის პირველ ფეხოსანთა სამხედრო სასწავლებელში ჩამრიცხეს, ფრონტზე წასვლამდე სამხედრო საქმეს რომ გავცხოვროდი. მალევე ჩვენი სასწავლებელი აფხაზეთში, გაგრაში გადაისროლეს. ცოტა ვინმე თუ იცის, რომ ფაშისტები აფხაზეთამდე იყვნენ შემოსული. 1941 წლის ივლისში მათ გადმოვალხეს კავკასიონზე სანარის უღელტეხილი რიწის ტბის მახლობლად. ხომ ვაგვიციათ, გერმანელების ცნობილი სამოთ რაზმი „ელდფელისი“. სწორედ მათ გადაუღობეთ გზა და შევიარეთ მათი წინსვლა. მძიმე

ბრძოლების შემდეგ ფაშისტები უკუაქციეთ. შემდეგ აფხაზეთის სოფელ ფსხუს განთავისუფლებაში ვმონაწილეობდი. მოგვიანებით სოფლის ხელმძღვანელობამ ფსხუს საპატიო მოქალაქედ ამიწინა. ბრძოლებით გავიარე უკრაინა და ჩეხოსლოვაკია. ომის დამთავრებას პრადამი შევხვდი. შემდეგ კიდევ ორი წელი დასავლეთ უკრაინაში ვმსახურებდი და ბანდერას ბანდებს ვანადგურებდი. მე ახლაც ხშირად ჩავდივარ უკრაინაში, იალტაში (იქ ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს), კავშირი მაქვს იქაურ ვეტერანებთან. ახლახან უკრაინის პრეზიდენტმა იუშენკომ ბანდერას გამართლების კამპანია წამოიწყო. ბანდერა ერთი უბრალო ბანდერი იყო, რომელითაც სამშობლო, პატრიოტიზმი, ეროვნულობა უცხო მცენებები იყო; მისთვის ძარცვა-გლეჯით ქონების მოხვეჭა იყო მთავარი და ასეთ ადამიანს ოსტატურად იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის მამინდელი მტრები. ამის თაობაზე იუშენკოს საპრეტესტო წერილიც გავუგზავნი.

– ბატონო ირაკლი, საბრძოლო დიდებისა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დაარსება რატომ გადაწყვიტეთ?

– მუზეუმის დაარსების სურვილი დიდხანს მქონდა, ხოლო ამ იდეის განხორციელება მოგვიანებით შეეძლო, როცა თადარიგში გავედი და თავისუფალი დრო გამიჩნდა. მუზეუმი ჩემი თანამებრძოლების ხსოვნის უკვდავსაყოფად შევექმენი, რათა პატივი მიმეცო მათთვის, ვინც ვერ მიუხვრო დიდი გამარჯვების დღეს, ვინც საკუთარი ხალხის, სამშობლოს ბედნიერებისთვის სიცოცხლე გაწირა და უკვდავება მოიპოვა; აგრეთვე, ჩვენსა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მებრძოლებს შორის ომის დღეებში აღმოცენებული მეგობრობის უკვდავსაყოფად.

– ბატონო ირაკლი, თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე და დღევანდელი გადასახვედიდან რას ურჩევთ ქართველებს?

– ორი რამ მინდა ვთქვა: პირველი: ხალხთა შორის მტრობასა და კინკლაობას მეგობრობა და ძმური ურთიერთობა ჯობია. ის, რაც დღეს საქართველოსა და რუსეთს შორის ხდება, სრული უმსგავსობაა. დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის არსებული მეგობრული სულისკვეთება იყო. ხალხთა მეგობრობა სახელმწიფოს უძლეველობის და აყვავების საფუძველია. ძმობა და მეგობრობა ყველანაირ სიმდიდრეს ჯობია.

მეორე: პატრიოტიზმი უნდა ვიყოთ. პატრიოტიზმი ეს შენი ქვეყნისა და შენი ხალხის ერთგულება და სიყვარულია. პატრიოტიზმი ყველა, ვინც თავდაუზოგავად ემსახურება და იბრძვის თავისი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის. მეამბოხება, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა, ესაა ჩემი სახლი და ჩემი მამული. მეამბოხება, რომ ამ მიწაზე დავიბადე და ჩამოყვანილდი პიროვნებად.

მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი, რაიმე სახარებლო გამეკეთებინა ქვეყნისა და ხალხისთვის. ვფიქრობ, ამაზე დიდი მიზანი არ არსებობს. ამაში ჩემმა ხანგრძლივმა ცხოვრებამ დამარწმუნა.

ლაშა გიორგიძე

„ჭიზბალას“ და „ჰამასის“ ბოევიკები ბინ ლადენს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტად თვლიან

ისლამელი ექსტრემისტებისთვის უსამა ბინ ლადენი ავტორიტეტს აღარ წარმოადგენს. „ჭიზბალას“, „ჰამასის“ ბოევიკები და ყველაზე რადიკალური არაბი ნაციონალისტები თვლიან, რომ ბინ ლადენი „მოსადის“ კაცია, ცერე-უს აგენტი და იდიოტი, რომელსაც დასავლეთელი ნეოკონალიზმისტები ერაყში, ავღანეთში, ისლამის მიწაზე შეჭრისათვის იყენებდნენ.

2001 წლის დასასრულისთვის ბევრს ვგონა, რომ უსამა ისლამის ახალი ხმალია, რომელიც არაბი ერის აჯანყებას ჩაუდგებოდა სათავეში. მაგრამ 8 წლის შემდეგ გასაგები ხდება, რომ ბინ ლადენმა არაბებს იმედები გაუცრუა. ამის ერთ-ერთი დადასტურება დახას სექტორში „ჰამასის“ ბოევიკებსა და „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს შორის დაპირისპირებაა: „ჰამასის“ საიდუმლო პოლიციამ „ალ-ქაიდას“ ბოევიკების დევნა დაიწყო. სხვაგვარად რომ ითქვას, ბინ ლადენის ორგანიზაციის, როგორც ჩანს, იმ რველუციური მოძრაობების ბუდი ელის, რომელთაც საკუთარი დამანგრეველი ძალა ნთქავს, რომელთაც სასიკვდილოდ საკუთარი თეოლოგიური და პოლიტიკური სიბევე იმუტებს.

დახას სექტორში – „ჰამასის“, დასავლეთ სანაპიროზე – „ფატხასა“ და ლიბანში „ჭიზბალას“ მიერ დამარცხებულმა „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლებმა, როგორც იქნა, გააცნობიერეს, რომ არაბულ სამყაროს ისინი აღარ სჭირდება. ახლა ბინ ლადენის ორგანიზაცია აზიაში – ჯერ კიდევ ტერორისტულად ბრძოლის ფრონტად მიხვტანსა და ავღანეთში დამკვიდრდა. ახლა „ალ-ქაიდას“ ბოევიკები ებრძვიან ნატოსა და ინდუსტებს, რომელთაც პაკისტანელი ექსტრემისტები ისევე ვერ იტანენ, როგორც ბინ ლადენი ვერ იტანდა ისრაელელებს. გარდა ამისა, ალ-ქაიდელებმა თავალი დაადგეს პაკისტანის მფლობელობაში არსებულ 60-100 ატომურ ჭურვს, და როგორც ამასწინათ ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“, „ალ-ქაიდას“ ნომერმა ორმა განუცხადა, მათი ამერიკის წინააღმდეგ გამოყენება სურთ. ჭურვები საიმედოდაა დაცული და თეორიულად სამ ნაწილადაა გაყოფილი. სამეც ნაწილი სხვადასხვა ადგილასაა, ამიტომ ამერიკის წინააღმდეგ გამოყენებამდე მათი მოძიება და შეერთება საჭირო. არსებობს მოსაზრება, თითქოს „ალ-ქაიდას“ სამხედრო სტრუქტურებში საკუთარი ხალხი ჰყავს, მაგრამ ისლამისტებს მინიატურული და ადვილადტრანსპორტირებადი პლუტონის ჭურვების (პაკისტანმა სულ ახლახან დაიწყო მათი წარმოება) მოპოვებამ ეს ვერ დაეხმარება. ეს ახლა, მომავალში კი, არაფერს იცის, არა იქნება.

ალქაიდელები ამ რეგიონში მიხვდნენ, თუ რა შედეგს შეიძლება მიადლონ, თუ წმინდა ომს კლასობრივ ბრძოლას შეუთავსებენ. უსწორდებიან რა მიწის მეპატრონეებს და უნაწილებენ მათ მიწას ადგილობრივ მცხოვრებთ, მომხრეებშიც შეიძინეს, არადა, ამის იმედი ნამდვილად ვერ ექნებოდათ. მეორე მხრივ კი, მმართველი კლასი გამოაფხიზლეს. თავდაპირველად პაკისტანის ხელისუფლებამ თალიბებში საკუთარი ინტერესების საფრთხე დაინახა და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარი დარაზმა. მიუხედავად ამ ჯარის რამდენიმე წარმატებული ოპერაციისა, შეიძლება ითქვას, რომ პაკისტანური ომი მხოლოდ იწყება. თანაც, მთავარი მოქმედი პერსონაჟები დიდი უპირატესობის – ფულის მფლობელი „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლები იქნებიან. ფინანსური სახსრები ევროპიდან, ძირითადად კი, არაბეთის ნახევარკუნძულიდან მიედინება. ქვეყნებს, რომლებიც თავს ისლამურს უწოდებენ, მუსლიმანური მიწის მთელავთა დამარცხების სურვილის ნაცვლად თალიბები და ავღანეთი საკუთარ პრობლემად რამ მიქნიათ, ფულის ნაკადი, ალბათ, შემცირდებოდა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს ნაკლები შეცდომები რომ დაეშვათ, შესაძლოა, საუდელ მილიონერს ამდენი უბედურება არ გამოეწვია.

რ. შალამბერიძე



# ევროსასამართლო ბირბვლიანის საქმეს ბანიხილავს, სანდროს მკვლელები კი შვიფყალუს

ევროპულმა სასამართლომ მოსთხოვა ქართულ მხარეს, გადაეგზავნათ მტკიცებულება, რომელსაც უშედეგოდ ითხოვდა დაზარალებული მხარე სამივე სასამართლო ინსტანციაში. ხელისუფლებამ ევროპულ სასამართლოსაც არ გადაუგზავნეს ეს მტკიცებულებები. საქართველოს მთავრობამ ამჯობინა, მიიღოს ის მწვავე შეფასება, რასაც სტარსბურგის სასამართლო გამოიტანს, ვიდრე გაეგზავნათ ის მტკიცებულებები, რაც შემეკეთებს ამხელდა და სხვა მონაწილე პირებს გამოაშკარავებდა.

სანდრო გირგვლიანის სადისტური მკვლელობისთვის გასამართლებული ალანია ბიბილურიძე, ლაჭავაძე და აფციაური პრეზიდენტმა შეიწყალა და სასჯელი გაუნახვერდა, შემდეგ ხელისუფლებამ „იმჯველა“ და ამ ადამიანებს თავისუფლებაც მიანიჭა. მართალია, მათ არა მარტო სანდროს სისხლში გაისვარეს ხელი, არამედ ირინა ჯიმშერა, ლია და ეთერ ენუქიძეებიც შეიწირეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლებისადმი მონური მორჩილება და ბინძური საქმეების შესრულება ამ ქვეყანაში გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე კანონის უზენაესობა! სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას იმ ადამიანების სამ წელიწადში გათავისუფლება, რომლებმაც გირგვლიანების ოჯახი ამოწვევით და რომლებიც არა მხოლოდ ამ ოჯახის, არამედ მთელი საქართველოს მტრები და მკვლელები არიან?! მართალია, საქართველოში გირგვლიანებმა სიმართლე ვერ დაამტკიცეს და, ალბათ, ამის იღვზია არც ჰქონდათ, მაგრამ აქ ყველა ინსტანცია უნდა გაეგლოთ იმისათვის, რომ საქმე ევროპის სასამართლოში გაეგზავნათ. როგორც ცნობილი გახდა, სტარსბურგის სასამართლო უახლოეს დღეებში აცნობებს მხარეებს, როდის დაინიშნება გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვა სტარსბურგში. ამ საკითხებზე გირგვლიანების ოჯახის ადვოკატს, შალვა შავგულიძეს ვესაუბრეთ.

— ფაქტობრივად, ევროპულმა სასამართლომ დაასრულა მხარეებთან მიმოწერა გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპულმა სასამართლომ ეს კომუნიკაცია ამომწურავად განახორციელა. რამდენჯერმე გადმოგვეგზავნა მთავრობის პოზიცია კომენტარებისთვის და, ასევე, ჩვენი პოზიცია გაეგზავნა მთავრობას. ახლახან მივიღეთ წერილი ევროპული სასამართლოდან, რომლითაც გვატყობინებენ, რომ უახლოეს დღეებში გვეცნობება განხილვის თარიღი. ასევე გადაწყვეტა ზეპირ განხილვასთან დაკავშირებული საკითხი. დაახლოებით თვენახევრის წინათ სტარსბურგის სასამართლომ მხარეებს კითხვით მოგვმართა, გვსურდა თუ არა ზეპირი მოსმენით ამ საქმის განხილვა. ცხადია, მივწერეთ, რომ ჩვენთვის მისასალმებელია ცოცხალი სასამართლო პროცესის ჩატარება. შემდეგ ეს დაიდგა ევროპული სასამართლოს საიტზე და საზოგადოებას საშუალება ექნება, იხილოს ამ საქმის განხილვა, თუმცა ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის, რას გადაწყვეტს ევროპის სასამართლო ზეპირი მოსმენისთან დაკავშირებით. რაც შეეხება თარიღს, უახლოეს მომავალში

ამასაც გვაცნობენ.  
— როგორ გგონიათ, რას გადაწყვეტს ევროპული სასამართლო?

— ჩვენ ვითხოვთ, ევროპულმა სასამართლომ ცნოს მომჩივანის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს მიერ ევროკონვენციის მეორე მუხლის (სიცოცხლის უფლება), მეცამე მუხლის (წამების აკრძალვა), მეექვსე მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მეცამეტე მუხლი (უფლება დაცვის ეფექტური ზომის შესახებ) დარღვევა. თუ ევროპის სასამართლო ცნობს ამ მუხლების დარღვევას, ეს განაპირობებს ამ საქმის ხელახალ გამოძიებას. გარდა ამისა, დავაყენებ საკითხი მორალურ ზიანთან დაკავშირებით 300 ათასი ევროს ოდენობით. რა თქმა უნდა, პრიორიტეტულია ის, რომ როგორმე მივადწიოთ ამ საქმის ხელახალ გამოძიებას, რადგან, ფაქტობრივად, არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიება არ ჩატარებულა. ამიტომაც არ არიან მხილებულნი მკვლელობის შემკვეთები. დანაშაულში მხილებულ პირთა მოქმედებას კი არასწორი კვალიფიკაცია მიეცა და, ნაცვლად განზრახ მკვლელობისა, რაც დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინეს, კვალიფიკაცია ასე განისაზღვრა: სხეულის დაზიანება, რასაც გაუფრთხილებლობით სიკვდილი მოჰყვა. არადა, პირთა ჯგუფმა განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს ადამიანი, თუნდაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სიცოცხლისათვის საშიშ ზონაში, კერძოდ, კისრის არეში, სანდრო გირგვლიანს მიყენებულ აქვს 11 ჭრილობა. ეს ჭრილობები შეფასებულია, როგორც მძიმე დაზიანება და სიცოცხლისთვის საშიფათო, რასაც უშუალოდ მოჰყვა სიკვდილი. აქ განზრახ მკვლელობის გარდა სხვა კვალიფიკაცია, სამარცხვინოა, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღო ქართულმა სასამართლომ და თანაც — სამივე ინსტანციამ. მოგესხებებათ, ასეთი პროციკური გაგრძელება იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება გირგვლიანის მკვლელების შეწყალების შესახებ და ვადაძლე მათი გათავისუფლება.

— როგორც ვიცით, ევროპის სასამართლომ საკმაოდ „უხერხული“ კითხვები დაუსვა ხელისუფლების წარმომადგენლებს. იქნება, გვითხრათ რამდენიმე მათგანი?

— მოგესხებებათ, ევროპის სასამართლომ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ საქმისადმი. საზოგადოებას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სამივე ინსტანციის სასამართლოში ჩვენ ვითხოვდით, რომ საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცემოდა. სატელეფონო საუბრების ამონაწერის და სხვა მტკიცებულებების გაცნობას რომ ვითხოვდით, ეს სხვა საკითხია, რადგან საქმეზე გამოძიების მიერ დართული მტკიცებულებებიც კი არ გავაცნეს. ძირითადად, ეს იყო ვიდუომასალა, რომელიც სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებით ამოიღეს. მტკიცებულებების ნაწილში იყო ამოცნობების ვიდუომასალაც; რამდენად ობიექტურად განხორციელდა ეს ამოცნობები, მათ შორის, ბუხაიძის მიერ მელნიკოვის ამოცნობა, პირველად ამოცნობაზე საუბარი.

საქმეზე მტკიცებულების სახით დართულია აწვარდაცვლილ ბადრი პატარკაციშვილის საცხროვრებელ სახლზე დამონტაჟებული ვიდეო-თვალის გადაღებული მასალა, რომელიც აფიქსირებდა ავტომანქანების გადაადგილებას ოქროყანის გზაზე. საქმეში კი გაშფოთულია მხოლოდ ერთსაათიანი მონაკვეთი — დამის ორი საათიდან სამ საათამდე, ანუ ის მონაკვეთი, როდესაც სხენებულმა „ემელის“ ჯიპმა გაიარა, რომელშიც ისხდნენ უკვე გატაცებული გირგვლიანი და ბუხაიძე. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ ვიდუომავლს დაფიქსირებული აქვს მთელი დამის მანიღლზე ავტომობილის გადაადგილება. სწორედ ამ მასალის გაცნობას ვითხოვდით, რომ ეს მასალა გაეცნოთ სრულად. კიდევ ვიმორბე, ეს მასალა საქმეს სრულად ერთვის.

მსგავსი პრეცედენტი ქართულ მართლმსაჯულებაში არ გამოგია, — ისე დასრულდა სამივე სასამართლო ინსტანცია, რომ მხარეს საქმეზე დართული მტკიცებულებები არ გააცნეს. ევროპულმა სასამართლომ მოსთხოვა ქართულ მხარეს, რომ მათთვის გადაეგზავნათ ეს თითხმები მტკიცებულება, რომელსაც უშედეგოდ ითხოვდა დაზარალებული მხარე სამივე სასამართლო ინსტანციაში და უნდა გათხრათ, რომ ევროპულ სასამართლოსაც არ გადაუგზავნეს ეს მტკიცებულებები. ეს უკვე გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ იმ მტკიცებულებებით ნათელი გახდებოდა სხვა პირთა მონაწილეობა ამ დანაშაულში და სხვა საგამოძიებო და სასამართლო ინსტანციების მიერ ჩადენილი მრავალი უკანონობა. საქართველოს მთავრობამ ამჯობინა, მიიღოს ის მწვავე შეფასება, რასაც სტარსბურგის სასამართლო გამოიტანს, ვიდრე გაეგზავნათ ის მტკიცებულებები, რაც შემეკეთებს ამხელდა და სხვა მონაწილე პირებს გამოაშკარავებდა. ასეთ რეჟიმში მიმდინარეობდა ევროსასამართლოში მოსამზადებელი პერიოდი. წარმოიდგინეთ, ევროპულმა სასამართლომ მოითხოვა საქმეზე დართული კონკრეტული მტკიცებულებები და მათაც კი არ გაუგზავნეს მასალები.

— თუ სტარსბურგში საქმის ზეპირი მოსმენა ჩატარდა, დაზარალებული მხარეს წარმოადგენთ თქვენ, მაგრამ ხომ არ იცით, ვინ წარმოადგენს ხელისუფლებას?

— იმ შემთხვევაში, თუ ზეპირი მოსმენა შედგება, მე და დავით ჯანდიერი ვიქნებით დაზარალებული მხარის წარმომადგენლები. რაც შეეხება ხელისუფლებას წარმომადგენელს, ნამდვილად არ ვიცი, ვინ იქნება.

— გირგვლიანის მკვლელების ვადაძლე გათავისუფლებას როგორ შეაფასებთ?

— რა შეფასება შეიძლება?! ეს არის ლოგიკური გაგრძელება და არა დასასრული ამ ხელისუფლების ყველა იმ ქმედებისა, რაც ამ ადამიანების მიმართ ჩაიდინეს. ამას გაგრძელება კიდევ ექნება სხვადასხვა შედეგათის და ხელშეწყობის სახით. მთელი ეს საქმე ავტუბული იყო უსამართლობაზე და არც ამ ადამიანების ვადაძლე გათავისუფლება შერცხვებოდა ხელისუფლებას. გირგვლიანის საქმის ფაქტობრივი გარემოებების გაყალბებაში, თანამონაწილე პირთა დაფარვაში, ხოლო მხილებულ პირთა არასა-

თანადო დასჯაში აქტიურად მონაწილეობდა ხელისუფლების ყველა შტო. საგამოძიებო ორგანოებმა სამარცხვინო გამოძიება ჩაატარეს. სუფრის ცნობილი წევრები: თაკო სალაყაია, დათა ახალია, ვასილ სანოძე და ოლეგ მელნიკოვი არ დაისაჯნენ, ხოლო მხილებულ პირთა ქმედებას არაადეკვატურად მსუბუქი კვალიფიკაცია მიანიჭეს, რასაც სასამართლოთა არაობიექტური გადაწყვეტილებები მოჰყვა. მოსამართლეები სრულად დაეთანხმნენ წინასწარი საგამოძიებო ორგანოების პოზიციას, ანუ სასამართლო ხელისუფლება ჩაერთო საქმის გაყალბებაში.

უფრო მეტიც, იმ კვალიფიკაციის დანაშაულისთვისაც კი, რაც ოფიციალურად წაუყენეს ამ ადამიანებს, გათვალისწინებული იყო 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ პარლამენტმა კანონში ცვლილება შეიტანა, რის შედეგადაც ეს სასჯელიც გაუნახვერეს. ასევე, ცვლილება შეიტანეს პატიმრობის შესახებ კანონში. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, რომ ალანია და მისი თანამზრახველები მოთავსებული იყვნენ ერთ საკანში, სადაც შეუზღუდავი ერთდენობის ალკოჰოლი და კიდევ სხვა საშუალებები შედიოდა. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ, რადგან პატიმრობის შესახებ კანონი იმპერატიულად კრძალავდა ერთ საქმეზე დაკავებული ადამიანების ერთ საკანში მოთავსებას, პარლამენტმა სასწრაფოდ შეიტანა ცვლილება კანონში და დასაშვები გახადა ამგვარი პრეცედენტები, ანუ, საკანონმდებლო ხელისუფლებაც ჩაერთო ამ უკანონობაში ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლად. ბოლოს უსამართლობის ეს ზეიმი საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნულ დანაშაულზე შეწყალებით დაასრულა — ისედაც განახევრებული სასჯელი კიდევ გაუნახვერდა და საბოლოოდ ვადაძლე გათავისუფლდნენ. მოკლედ, სახელმწიფოს ყველა შტო კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტების გაყალბებით, გარკვეულ პირთა დაფარვით, ამ დანაშაულში მონაწილეების არასათანადოდ დასჯითა და კავებულებით მთელი დაფარვით, ამ მოდავე მხარეც ის გახლავთ.

## მანანა ჩხეიძე

“ილირის” კომენტარი — მაშ ასე, გირგვლიანების ოჯახიდან ცოცხალი არავინ დარჩა, ვისაც შეიძლებოდა მოდავე მხარე წარმოედგინა, მაგრამ ახლა ღრმად შეურაცხყოფილი და დაზარალებულია მთელი საქართველო და მოდავე მხარეც ის გახლავთ.

ვიდრე სტარსბურგის სასამართლო პროცესისათვის მზადება დასრულდებოდა, თბილისში მოხდა ერთი საშინელი დანაშაული: რეციდივისტმა და არაკაცმა რეხვიაშვილმა დანით სიცოცხლეს გამოასალმა ახალგაზრდა პოლიციელი აფციაური, რომელიც მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღკვეთას ცდილობდა. მკვლელის საქციელმა საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რადგან საქართველოს ერთდროულად დაკარგა ორი ადამიანი — ჯანდონით სავსე წესრიგის დამცველი და ადამიანად წოდებული მხეცი, რომელიც სამუდამო პატიმრობისთვისაა განწირული და ოთხი კვლედიან გამოუსვლელად ჩააბარებს სატანას თავის

თავის აყროლებულ სულს. გაზეთი “ილირიც”, სხეებთან ერთად თანაუგრძობს დაღუპული პოლიციელის ოჯახს, მაგრამ აქვე გვინდა შევახსენოთ სააკაშვილს, რომ რეხვიაშვილი სწორედ მის მიერაა შეწყალებული ყველა წესისა და კანონის დარღვევით. როგორც ამბობენ, აფციაური იმ აფციაურის ძმა ყოფილა, რომელმაც სანდროს მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა. არავის ვინცა და ნიშანი მოუვგოთ და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ დაღუპულის ოჯახს, მაგრამ იმაზეც ღირს დაფიქრება — ხომ არ გახლავთ ეს მკვლელის ოჯახს მოვლენილი ღმრთის რისხვა?

ქვეყნის პრეზიდენტმა ისიც უნდა ირწმუნოს, რომ გარდა დანაშაულის დასჯის იარაღად ქვეყლი სისხლის სამართლის კოდექსისა, არის ღმრთის სამართალი, ძალზე საშინელი, მაგრამ ძალზე ობიექტური და უტყუარი. სახელმწიფო კანონის შემოქმედი და მისი აღმასრულებელი მხოლოდ ადამიანის ნამოქმედარს ხედავს და აფასებს, ღმრთის კი ადამიანის გონებაში წვდომა ძალუძს და მის ნაზრევს აფასებს. როგორ შეიძლება უზენაესმა ძალამ დაუსჯელად დატოვოს ის არაკაცები, რომელთაც სანდროს სისხლში გაისვარეს ხელი, და რომელთაც უფროდ შეიწირეს ირინა, ჯიმშერა, ლია და ეთერ ენუქიძეები.

ისიც უნდა იცოდეს ყველამ, რომ თუ ქვეყნის მკვლელი ხელისუფლება ხელს დაფარებს სანდრო გირგვლიანისა და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელებს, ღმრთი მათ აუცილებლად მოსთხოვს პასუხს და ჯეროვანს მიუხდავს, რადგან მკვლელის შეწყალბული მკვლელები მეტად ღილი დანაშაულა. ღვთის მარჯვენა ხელს თანდათან გამოჰყავს ბედისწერის კედელზე მკვლელობა ადსასრულის მიმანიშნებელი სიტყვები, რომლითაც ერთ დროს გარდაუვალი დაღუპვა უწინასწარმეტყველა ბაბილონის მეფე ნაბუქონოდორს: “Mene, Tekel, parez...” (აწონილია, გაზომილია, განაწილებულია...).


ამიტომ, ძრწოდეთ დამსახურებული სასჯელის მოლოდინში, მკვლელებო და კაცთმოძულე არაადამიანებო!



ტანჯული დედა, რომლის სული მუდამ სამართლიანი გადაწყვეტილების მომლოდინე იქნება



# სამეგრელო და სვანეთი



კორნელი ბოროზდინი  
სამეგრელო  
და  
სვანეთი  
1854-1861

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცლარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შედეგების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგებეს.

## კორნელი ბოროზდინი

### კონსტანტინე დადეშქელიანი სვანეთის უკანასკნელი მთავარი

რა თქმა უნდა, პირველ დღეებიდანვე მასა და კონსტანტინე დადეშქელიანს შორის ერთმანეთის სიძულვილი დაიბადა, და თუ წარსულსაც მოვივლინებთ, არ შეიძლება არ გაგვაკვიროს დადეშქელიანის მოთმინებამ, როცა წამ-და-უწუშ ხნობრივად ამცირებდა ბატოლომეი. მაგალითად, ბატოლომეის მოვეგუნება დადეშქელიანთან ერთად ერთსა და იმავე სახტუმროში დაბინავება. მაღლა სართულში კონსტანტინე სცხოვრობდა, ხოლო დაბლა – ბატოლომეი; ცუდი სახლი იყო, დაბლა ყველაფერი ისმოდა, რაც მაღლა ხდებოდა; ბატოლომეის თარჯიმანად (ქართული არ იცოდა) ერთი სახიზლარი ადამიანი, ვიღაც ლაქია ჰყავდა, რომელმაც რიგიანად თარჯიმანობაც არ იცოდა. ბატოლომეიმ ეს თარჯიმანი თავის ჯაშუშადაც გაიხალა და ამის წყალობით ამ კაცს საშუალება ჰქონდა ერთსთვისაც მიეტანა ენა და მეთრეხვისაც; ბატოლომეი დადეშქელიანთან დაეპყრებინა და წინაუკმო. ხარჯების შესახებ ბატოლომეიმ რაღაც ორიოდ გროშისათვის მთელი ამბავი დაათია, ვითომდა ხაზინის ინტერესის დასაცვლად. რა საჭიროა, მისი მზრუნველობა, დადეშქელიანისათვის პირდაპირ ჯოჯოხეთად იყო გადაქცეული. უამდავამ დადეშქელიანს გაგარინთან დაპირებებდნენ ხოლმე სადილად. და ბატოლომეიც უეჭველად თან უნდა ჰყოლოდა. ბატოლომეი ისე სადილს არ გაუშვებდა, რომ გესლიანად იმე სასაცილო ანეგდოტი არ ეთქვა ფრანგულად თავის მამონტის შესახებ. ბოლოს, როგორც იყო, უსლარიც ჩამოვიდა. თან ჩამოიტანა აუარებელი მასალა და მის დამუშავებას გულმოდგინედ შეუდგა. დადეშქელიანთან შეხვედრას ერთდებოდა, რადგან გული უთქვამდა, რომ ამ შეხვედრას სიკეთე არ მოჰყვებოდა. ერთხელ შემთხვევა მოხდა ორნი ერთად მენახნა. სადამოს ხანზე ნ. პ. კოლუბიაკინთან, ჯერ ისევ ქუთაისის გუბერნატორთან, შევედი. მასთან დამხვდა კონსტანტინე დადეშქელიანი და ერთი კიდევ ვიღაც; ცოტა ხანს შემდეგ უსლარიც მოვიდა. საერთო ლაპარაკი, რა თქმა უნდა, არ ხერხდებოდა და ყველას მაგიერ უნდა ელაპარაკნა სახლის პატრონს, რომელიც ძველ დროს იგონებდა, როცა ის ღირსებააყრილი და სოფლადამ ჩამოქვეითებული ზოგიერთ დეკაბრისტებთან ერთად ველიამინოვის რაზმი ემსახურებოდა. მოიგონა ოლოფესკი, მძანი ბესტუ-

ვეები და სხვები, რომლებთანაც ძალიან დაახლოებული ყოფილა. ვახშამი შემოიტანეს, მაგრამ მაშინაც მიიმედ ტრიალებდა ენა. დადეშქელიანი ბატოლომეის პირდაპირ იჯდა, ერთთავად თევზს დასცქეროდა, სდუმდა და ჩემს კითხვებზე ლაკონურ პასუხს იძლეოდა. ისევ კოლუბიაკინი თუ ლაპარაკობდა. ნავახშამის პირველი დადეშქელიანი წავიდა, იმას გაჰყვა უსლარი და მითხრა, ერთად წავიდეთო, რათგან ერთ მხარეზე ვიდექით. ბნელი ღამე იყო და უსლარმა ვახახ-რუსი მოითხოვა ფანრიანად გამცილებლად; მე ვუთხარი, ფანარი საჭირო არ არის, ქუჩები ყველა ვიცი და უფანროდ გაგაცილებთ მეთქი, მაგრამ იმან მაინც თავისი გაიყვანა და წავედით. ნახევარი გზა გვეკონდა გაველიდი, ისე ერთბაშად მითხრა: „ნუ თუ გგონიათ რომ ეს ველური ერთ წამს დაფიქრდება და დამით სადმე მარტო თუ მომიხვდება, მუცელში სატევარს არ მატაკებს.“ ვერ მივხვდი, ვისზედ ლაპარაკობდა. მაში ეჭვი არა მქონდა, თუ რა გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა უსლარს კონსტანტინე დადეშქელიანთან და ვკითხვი, ეს „ველური“ ინ არის-მეთქი. „როგორ, ნუთუ ვერ მიხვდით? მთელი საღამო ავი გვერდით გვევლინა!“ მისმა ნათქვამმა ძალზე გამაკვირვა, არ მეგონა თუ საქმე იმ ზომამდე იყო გამწვავებული. მე სულ იმ აზრისა ვიყავ, რომ ასეთ მშვიდობიან კაცთან ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა. რამდენსამე დღეს უკან უსლართან შევედი და დავინახე, რომ მონტეკა-რისტოს სისტემის დამბახიდან ნიშანში ისოდა. – ყოველისავე შემთხვევისათვის ხელს ვივარჯიშებ, – მითხრა უსლარმა. მე ამაზე არაფერი ვუთხარი, მაგრამ მის სიტყვებში ჩვენი წინანდელ დამის ლაპარაკის გაგრძელება მომეხსენება. მხოლოდ შემდეგში გამოირკვა ჩემთვის, რომ უსლარს მართლა რომ სერიოზულად უნდა ჰქონებოდა დადეშქელიანისა. ამ დროს ერთი უცნაური ამბავი მოხდა. დადეშქელიანთან ბუერი სტუმარი დადიოდა; ქუთაისში სცხოვრობდა მისი სიდედრი, კნენა კესარია შარვაშიძისა, მისი შვილი გრიგოლი ოჯახობითა. მაშასადამე, ჰყავდა აქ ნათესავებიცა, ხოლო ნაცნობები აუარებელი ეხვია თავს. ზოგჯერ როცა ბუღვარში სეირნობდა, უკან მთელი ხროვა მისდევდა. რა თქმა უნდა, ამ დროს ერთთავად მისი საქმის გამო ჰქონდა ლაპარაკი, ბუერნი თანაურგონობდნენ და ამ თანაგრძობის ნიშნად სხვადასხვა რწევა-დარიგებებს აძლევდნენ. ერთი ასეთი მრწეველთაგანი ერთხელ მასთან მივიდა და საიდუმლოდ ერთი მეტად უცნაური რამ ურჩია. რადგან ცხადია, რომ არც გაგარინისა და აღარც ბარიატინსკისაგან სამართლიანობას აღარ უნდა მოელოდეს კაცი, სჯობია სხვა გზა ვეძებოთ, ხელმწიფემდი მისასვლელიო, ეს ყველას აჯობებსო. მე ვიცნობო, – უთხრა ამავე

მრწეველმა, ერთს პოლონელ ექიმს, რომელმაც მშვენივრად იცის ფრანგული ენა, ის იკისრებს თხოვნის დაწერას პირდაპირ ნაპოლეონ მე-III-თან. ნაპოლეონს თხოვნაში აუხსნით, რომ შენ სვანეთის მეფედ იყავ და ბარიატინსკი უსამართლოდ გართმევს მეფობას, და სთხოვე დაგეხმაროს იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძესთან. ის ნაპოლეონს არაფერში ეტყვის უარსო. მოგესხენებათ, წყაღადეული ხავსს კეიდობაო და უვიცა დადეშქელიანმა, მეტად გაჯაგურებულმა ყველაფრით, რასაც უმრწეველდნენ, და განსაკუთრებით ბარტოლომეის საქციელით ამ მრწეველს გაებრიყვებინა ექიმი, მოჰლაპარაკებოდა თავის მეგობრის საშუალებით და რამდენიღაც მანეთიც მიეცა თხოვნის დასაწერად. ამის შემდეგ ექიმი ორჯერ ყოფილა დადეშქელიანთან. თუმცა მოლაპარაკება თურმე საიდუმლოდ იმართებოდა, მაგრამ ბარტოლომეის თარჯიმანმა და ჯაშუშმა ყური მოჰკრა და პოლონეის შეატყობინა; ის კიდევ პოლიციისგან მივიდა და სთხოვა პოლონელის შესახებ ცნობა მომეცით. აღმოჩნდა, რომ იმ კაცს, რომელიც დადეშქელიანთან დადიოდა, მართლა სცმია სამხედრო ექიმის მუნდირი, მაგრამ ნამდვილად ყოფილა სამსახურგათავებული უბრალო სოფლადამ, გვარად ტოლსტოვი, დიდი სახიზლარი გაიძვერა ვინმე. ის უკანონო შვილი ყოფილა რომელიღაც გრაფ ტოლსტოისა. ახალგაზრდობაში საუცხოო ვანათლება მიუღია, ფრანგული ზედმეტი ცოდნა. უკვე ლეგიონში ოფიცრად ყოფილა, ისე რაღაც სისასტაგლე ჩაუდგინა, ამისათვის ოფიცრის ღირსება აუყრიათ ისე, რომ მის დაბრუნების უფლება არა ჰქონდა და უბრალო საფლადად კავკასიაში გამოიუგზავნათ. აქ დიდხანს უწვავლია, ბოლოს ფიზიკურად უვარგისობის გამო სამსახურიდან გაუშვიათ, იმასაც მათხოვრობით დაუწვია ხელის მონაცვლება და ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა თურმე. ქუთაისში რო ჩამოსულა, ექმის მუნდირი სცმია, რომელიც მოწველების სახით ვიღაც ექმს უწუქებია, და თავის თავს პოლონელ ექიმად ასაღებდა. ეს გაიძვერა ვაგბატონი, რა თქმა უნდა, დაიჭირეს, უპოვნეს მის შედგენილი თხოვნა ნაპოლეონის სახელზე; ბატოლომეის უნდოდა ამ საქმისაგან მთელი ისტორია შეეთხინა – ვითომ სახელმწიფო მოღალატეობა დაეჭირათ. კარგი, რომ გაგარინი რომელიღაც ყოველმა ამან საშინლად თავი მოაბეზრა, ყოველთ უწინარეს როგორც რიგიანი, მეტისმეტად აღაშფოთა ნუმიზმატიკოსის შეთიხნილმა ამბებმა და ხელთ ბოლო მთელი მის მიქარვას. ტოლსტოვი ეტაპით სამშობლოში გაავახვინა კალაუგის გუბერნიაში, ხოლო ბარტოლომეისა სთხოვა დადეშქელიანისათვის არაფერი ეთქვა ამ ამბის გახმინების შესახებ. გარდა ამისა, გაგარინი რაკი ხელავდა, – უხერხულია აქ კონსტანტინეს მეტს განერებო, როცა უსლარმა, როგორც იყო გაათავა თავისი სამუშაო და ნამუშევარი ტბილისში გაიზავნა, ბარიატინსკისა სთხოვა – დადეშქელიანს საცხოვრებლად ქუთაისს მაგვირად სხვა რომელიმე ადგილი აურჩიეთო. ამ დროს მე სამეგრელოში წავიდი სამსახურში. ჩემის ნაამბობისაგან მკითხველი დაინახავდა, რომ სამეგრელოს საქმე-დღეოფლის ჯიუტობის გამო, ძალიან გართულდა და ბოლოს, იქამდის მივიდა, რომ საჭირო შეიქმნა დედოფალი პეტერბურგში გაეწვიათ ყოველივე ეს სადღეიდადარბო უხდებოდა თავად გაგარინს; მას ერთსა და იმავე დროს სჭირდებოდა ორის ისეთის საწოთირო საქმის მოგვარება, როგორც იყო სამეგრელოს და სვანეთის ავტონომიების გაუქმება, და იმასდა ნატრობდა, როგორმე მალე მოჰვებოდა ბოლო ამ საქმეებს და მერე სხვა, უფრო საინტერესო საქმეებისათვის მოეკიდნა ხელი. უკვე მაშინ ჰქონდა გამართული მოლაპარაკება მენავეობა-ვაჭრობის საზოგადოების დირექტორ-გამგებულთან, ნა. ნოვოსელსკისთან, რიონზე სამდინარეო მენავეობის მოწყობის შესახებ. გაგარინს იმედი ჰქონდა, რომ ეს წამოწყება მეტად სახეირო იქნებოდა მთელის მხარისათვის. და ამა, დასასრულს, გაგარინი დედოფალს შეუთანხმდა გამგზავრების დღის დანიშვნის შესახებ. დანიშნეს ოქტომბრის 25. ამისათვის ყველაფერი მოამზადა გაგარინმა და თავითონ აპირებდა გაეცილებინა დედოფალი. წინდაწინ გორდში თავისი მეუღლე

გაგზავნა. თვითონაც ჰქონდა გადაწყვეტილი ოქტომბრის 25. ამისათვის ყველაფერი საუფლადგულოდ მოამზადა გაგარინმა და თვითონ აპირებდა გაეცილებინა დედოფალი. წინდაწინ გორდში თავისი მეუღლე გაგზავნა. თვითონაც ჰქონდა გადაწყვეტილი ოქტომბრის 22 გორდშივე წასულიყო და ბრძანა 12 საათისათვის ცხენები მზად ჰყოლოდათ. დილის 9 საათზე ტვილისიდან მოსული პაკეტი გადასცეს. შტაბის უფროსი ატყობინებდა, რომ თავად ბარიატინსკიმ მოისმინა დადეშქელიანის საქმის შესახებ მოხსენება, მოიწონა მისი, გაგარინის, მოსახრება და განხრახევა, და გადაწყვიტა მთელი საქმე ხელმწიფეს მოახსენოს და უცალოს, რას ინებებს სახელმწიფო; მანამდე კი ბარიატინსკის საჭიროდ მიანია დადეშქელიანს საცხოვრებლად მიუჩინოს ქალაქი ერევანი და თქვენ მოგანდობსთ დაუყოვნებლივ გაისტუმროთო. ეს ქალაქი, რომ წაიკითხა, გაგარინმა თავის კანცლარის მხარითველი იხიუმსკისათვის დააბახებინა და სახეგაბრწინებული დაუხვდა. – ამა, როგორც იქნა, კონსტანტინე დადეშქელიანის საქმესაც გადავრჩით. იმისათვის გთხოვეთ რომ ჩემთან მოსულიყოთ, რათა მასთან მოლაპარაკების დღეს დამეხმაროთ. იხიუმსკი ამიერკავკასიის მხარეში იყო დაბადებული, დედა ქართველი ქალი ჰყავდა და ქართულადაც მშვენივრად ლაპარაკობდა. მეტად სიმპათიური იყო, ზრდილი; სწავლა ყაზანის უნივერსიტეტში ჰქონდა დამთავრებული; ადგილობრივი მკვიდრი დიდსა პატივსა, სცემდნენ; თვით გაგარინი განსაკუთრებით ენდობოდა და კარგი ურთიერთობა ჰქონდა დადეშქელიანთანაც, რომელიც მასთან ხშირად დადიოდა. გაგარინმა ამიტომ უფრო აირჩია დადეშქელიანთან მომავალ საწოთირო მოლაპარაკებისათვის ასეთი შესაფერისი კაცი. იხიუმსკიმ გენერალ-გუბერნატორ გაგარინს ურჩია მომხრედობა დადეშქელიანთან პირადად მოლაპარაკებას: ძალიან გაჯავრებულია ვაი თუ რამე უსიამოვნება მოჰყვეს მოლაპარაკებასაო. მე თვითონ ჩემის თვალთ ვნახე, – უთხრა იხიუმსკიმ, – ამ რამდენიმე დღეს წინათ, როცა თქვენ ბუღვარში სეირნობდით, დადეშქელიანმა სატევარს ხელი იტაცა და როგორღაც საეჭვოდ აატოკა ხელიო. მაგრამ იხიუმსკის ამ ნათქვამმა არამცთუ ხელი აადებინა გაგარინს დადეშქელიანთან მოლაპარაკების განხრახევაზე, პირიქით უფრო აადლევა. – ნეტავი თქვენ, ანდრიანე ანდრიანეს ძე, ნუთუ ფიქრობთ, რომ მისი შემეშინდება? იმისათვის მინდა დავიბარო, რომ რითაც შემოიძლია, დავეხმარო წასვლის წინ. დავიჯერო, ამას ვერ მიხვდება? იხიუმსკიმ ერთხელ კიდევ სცადა წინააღმდეგი ეთქვა, მაგრამ დარწმუნდა, რომ ყველაფერი ამო იქნებოდა, გაგარინს უნდოდა, ხოლო წასვლის წინ დადეშქელიანი ენახნა, გაგარე მისგან, რაც სჭიროდა, და საჭირო განკარგულება გაეცა მის დასაკმაყოფილებლად. უნდოდა დაეპარებინათ დადეშქელიანი. დასაბარებლად საპოლიციო უზნის მორიგე უდამხედველი გაგზავნეს. საკრებულო ტაძარში ამ დროს წირვა იდგა და კელესიის კარიბჭეზე მკაფიოდ მოსწანდა უხარმაზარი ტანი დადეშქელიანისა, გულმხურვალე ლოცვად მდგარი. ზედ არაფერი იარალი ჰქონდა, სატევარს გარდა, მაგრამ სატევარი უშველველი იყო, მისი ტანისა ძალ-ღონის შესაფერისი. მივიდა მასთან უზნის უდამხედველი და მათ შორის გაიმართა შემდეგი დიალოგი, რომელიც ახლომდგომთაც გაიგონეს: – თქვენო ბრწინვალეობა, გენერალ-გუბერნატორმა გამოგზავნა და გთხოვსთ ახლავე მიბრძანდეთ. – როგორ თუ ახლავე? ვერა ხედავთ, ვლოცულობ?! მოახსენეთ, რომ როცა მე ლოცვად ვდგავარ, ჩემთვის სხვა საქმე-გარეშე ლოცვისა, არაფერი არსებობს. წირვა რომ გამოვიდა, სწორედ მაშინ წამოვად და შეხვებები მას.



# პირაპირი ანუ პრესალი რეალიკა პროფესორ ლომოურის თაღლითობის ბაჟი

„სარეზივანდო დგობა მუშაა...“ სირუმა? არა, სირუმე გალაკტიონის ლექსია. ლურჯი, აბრეშუმითი პარტიკი იქ მოვიღებთ. არც ნილოსს ვეცმა ორქიდები, „როს მხურვალემა ქვიშაზე კენესის“. ჩვენ პროფესორ ნოდარ ლომოურის მეტყუარებს ვკითხულობთ. ხანმოკლე ისტორიკოსმა გადაწყვიტა, ახლანდელ და მომავალ თაობებს თავისი მოგონებები გაუზიაროს, „რადგან საკმაოდ დიდხანს იცხოვრა, ბევრი გადაიტანა და მრავალ ვინმესაც შეხვედრიდა“.

მეშუარისტიების საყოველთაოდ ცნობილ „თაღლითობას“, ბუნებრივია, ვერც იგი აუღელს ვერცდს. მით უფრო, რომ ამ საქმეში, ზოგიერთი გამოხატული მეშუარისტიგან განსხვავებით, ბადალი არ მოეცინება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელი და მრავალ ქურაში ნაწრობი ნოდარ ლომოური, ბუნებრივია, ოსტატურად აუქვეყნებდა გვერდს ძალიან ბევრ რამეს, რაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გადახდებოდა. ამიტომაც მოგონებებს „ერთგვარად უჩვეულოდ“ იწვევს. ახლახან გამოსული ერთი მცირე მონაცემში იმ დროს იხსენებს, როდესაც ვულ რადაც ათი წლისა იყო და იქვე აღნიშნავს, რომ მონათხრობი არ შეიძლება ახსოვდეს და სწორად ესმოდეს. მაგრამ, თურმე, ამის შესახებ „ისე ხშირად და დაწვრილებით“ უყვებოდნენ ამ მოვლენების მონაწილეები და თვითმხილველები, რომ პარტიკულ პროფესორს ჩამოუყალიბდა თავისებური თავდაჯერებულობა, რომ თავადაც ესწრებოდა სხდომას, რომლის შესახებაც გვიყვება.

ისტორიის ფალსიფიკაცია ყველა დროში მომგებიანი საქმე იყო, მით უფრო, თუკი ამის გაკეთება ისეთი დახვეწილი ოსტატობით შეგობილია, როგორც ამას პროფესორი ლომოური ახერხებს. მაგრამ მისთვის, ალბათ, ცნობილია ისიც, რომ ამ უმაღლური საქმისთვის ხელის მოკიდება ხეივან არ დააყრის, თუმცა, რადგან დროს სინდისის ქექვანა, როცა საკმაოდ დიდხანს გიცხოვრია კონფორმიზმის ტაობში.

მაინც, რომელ ისტორიას იხსენებს ისტორიის პროფესორი?

ხუბტად არ ახსოვს, რომელ წელს მოხდა, ალბათ, სადაც 1936 წელს, როდესაც საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია აჯერ კიდევ აქ იყო და მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით მართლაც ჩვენს ქვეყანას. პროფესორის მეშუარეობაში აქ იწვევა სწორედ ის „მეშუარისტიული თაღლითობა“, ზემოთ რომ აღვნიშნე. „როგორც ჩანს, – ვერს იგი, – ბერია ამ მოიაზრა, რომ საქართველოს თავად უნდა უზრუნველყო პურით საკუთარი თავი“.

ხომ გახსოვთ, მეშუარისტი ამბობს, რომ ამ ისტორიის შესახებ „დაწვრილებით“ უამბობდნენ. ანა, ის არ უთქვამთ, ეს აზრი ნამდვილად ბერიას გაუჩნდა, თუ ბერიას, „როგორც ჩანს“, გაუჩნდა.

მაგრამ ამასაც დავანებთ თავი. მეშუარისტი ამ ნაწილის სათაური ასე უღერს: „აი ისიც – „დაშინებული“ ინტელიგენცია“. ლომოურს იმის აღნიშვნა უნდა, რომ იმ შიშის პირობებშიც კი არსებობდნენ ადამიანები, რომელთათვისაც პრინციპები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა იდგა. ბუნებრივია, უნდა დავეთანხმებოდნენ, მაგრამ ამ ისტორიით მეშუარისტი უპირველესად მამამისის – მეშინდერობის სპეციალისტის – პროფესორ იულონ ლომოურის პრინციპულად აღწერს.

ვნახოთ, როგორ განვიითარდა მოვლენები მას შემდეგ, რაც ბერიას ეს აზრი, „როგორც ჩანს“, გაუჩნდა. თურმე ამ იდეის ხორცშესხმა მან დაავალა შესაბამის სპეციალისტებს, რომლებმაც, „ბუნებრივია“, მოძებნეს არგუმენტები

და გზები მის განსახორციელებლად. ბერიას ასეთ სურვილი გასჩენია: კახეთის მოელ ტერიტორიაზე უნდა ამოქობილყო ბაღ-ვენახი და ამ მიწებზე ხორბალი დაეთესათ.

თურმე იმ სასტიკ დროშიც კი („ხანმა უნდაბარმა, გზა რომ შეეცვლება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...“), დღევანდელისგან განსხვავებით, სერიოზულ გადაწყვეტილებას სპეციალურ თათბირზე იღებდნენ. ბაღ-ვენახის ანეხვისა და ხორბლის დათესვის თაობაზეც მოუწვევით ასეთი თათბირი, რომელსაც პროფესორ ნოდარ ლომოურის მამა, პროფესორი იულონ ლომოურიც, რა თქმა უნდა, ესწრებოდა.

მართალია, ლავრენტი პავლოვიჩი ქვეყანას „მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით“ მართავდა, მაგრამ დღევანდელს მაინც ვერ შევადრებოდა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა რომ მინდრომის რომელიმე მფლობელზე შეადგენის აჩუხნუხება ანდა აცეკვება, გენგაბო, ამდგობა და ამის თაობაზე სპეციალური თათბირი მოიწვიოს... ხომ წარმოუდგენელია ასეთი რამ? რა, ცოტა შეადრებანი ამდგობა-აცეკვებულა ერთი კაცის დაკრულზე? რა, უაგვსტესის ხუშტურთაგან არაფერი გახსენდებათ? დღეს საქართველოში დემოკრატიის შექურა ბღვლიაღვს. მაშინ, გახული საუკუნის 30-იან წლებში კი, ბერია „მისთვის დამახასიათებელი სისასტიკით“ მართავდა ქვეყანას.

ლომოურს სააკაშვილის მეხობებობას ვერავინ დასწამებს, ამიტომ თავი დაგანებთ ქლიკს და ვი მოგზაუროთ თითქმის საუკუნისწინანდელ საქართველოში, თანაც, მეგზურობას 83 წლის პროფესორი გაგვიწვევს, რომელსაც „სწორად და დაწვრილებით“ უამბობდნენ იმ დროის სისასტიკეზე.

სხდომას ბერია უძღვებოდა. ერთი აგრონომის მოხსენების შემდეგ კამათი გაჩაღდა (ო, რა სასტიკი დრო იყო – კომუნისტური დიქტატურის და, განსაკუთრებით, ლავრენტი ბერიას გამორჩეული სისასტიკის პირობებში კამათს ბედავდნენ?). მეშუარისტი გვიყვება, რომ ყველა ენთუზიაზმით ემხრობოდა ამ იდეას, რადგან იცოდნენ, რომ იგი ბერიას ეკუთვნოდა. და აი, დარბაზიდან გაიხმა: „ეს ყველაფერი სისულელეა! უგუნურება!“

დარბაზი რომ გაშეშდა, ამის შესახებ მეშუარისტიც მერე მოუყვებოდა, როცა გაიხრდებოდა. ბერია ამ მრისხანელ მოავლო თვალი დამსწრეთ, ბორცვად ელაგდა მისი პენსნეს მინები (რა მესხიერებაა, გადმოცემის და დამახასიათებლის რა მასშტაბია, თითქოს ამ წუთას გაიფლავა, და თან აუცილებლად ბორცვად. მაინც, როგორი შეიძლება იყოს ბორცვი პენსნე ან ბორცვად მოვლავრე პენსნეს მინა).

„ვინ თქვა?“  
„მე ვთქვი“, – ადგა საშუალო სიმაღლის, დახვეწილი ვეროპული გარეგნობის გამხდარი მამაკაცი. იგი გახლდათ მდგინეობისა და მევენახეობის კათედრის გამგე. ამ მეცნიერული დარგის ფუძემდებელი საქართველოში სოლომონ ჩოლოყაშვილი. ამ დიდებული გვარის წარმომადგენლისგან გასაკვირიც არ არის, რომ ვენახების ანეხვას შეეწინააღმდეგებოდა.

„გამოდი“, – უხეშად უთხრა ბერიამ.  
უკვე ჭკუაში ჩავარდნილ ნოდარ ლომოურს დაწვრილებით უამბობენ, რომ ჩოლოყაშვილი გამოვიდა და მეცნიერული სისუსტით, დამაჯერებლად და უტყუარი ლოკიით დაამტკიცა, რომ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი მარცვლული კულტურების მოსაგვლიანობის გაზრდის მეთოდი, სამეცნიერო თვალსაზრისით, ყალბი და, რაც მთავარია, არარენტაბელურია.

ბერია გაქვეყნებული ხახით უსმენდა, და როდესაც ჩოლოყაშვილმა დაამთავრა, კიდევ ერთხელ მოავლო თვალი დარბაზს. „რას იტყვიან მემინდერები? სად არის ლომოური?“ მამა წამოდგა (ამასაც უყვებოდნენ, თორემ 10 წლის ბიჭს იქ ვინ მიიყვანდა, სადაც ბორცვად ელაგდა ბერიას პენსნეს მინები), ნელა წავიდა კათედრისაკენ, მაგრამ ასვლის შემდეგ წელში გასწორდა და გარკვევით წარმოთქვა: „მე სრულიად უჭერ მხარს...“ მეშუარისტი გვიყვება, რომ მამამისმა აქ პაუზა გააკეთა. ჩვენც ვისარგებლოთ ამ პაუზით და აღმოვაჩინოთ, რომ ეს ყველაფერი მეშუარისტი ლომოურისთვის მამამისისა და ჩოლოყაშვილის ახლო მეგობარს, ასევე მაღალი კლასის აგრონომს გიორგი რცხილაძეს მოუყოლია. თურმე მასაც სუნთქვა შეეკრა, „ნუთუ იულონი სოლიკოს უდალადებს?! ნუთუ ისიც დააშინა ბერია?!“ მაგრამ არა, მეშუარისტის მამა არავის დაუწინებია და მანაც განაგრო: „...პროფესორ ჩოლოყაშვილის ყველა მოსაზრებას!“

შემდეგ უკვე მემინდერის პოზიციიდან დასაბუთა წარმოდგენილი გვემის არასრულყოფილება და აბსურდულობა. უფრო მეტიც, ვერ მოითმინა და ბერიასადმი მიმართული ერთგვარად აკრძალული იდეით გამოიყენა: „ლავრენტი პავლოვიჩი, მომხსენებელმა და აქ გამოხსენებულმა გაიმეცინებოდა შეცდომებში შევიტყუებოდა. მათი იდეა (ხაზი გაუსვა – „მათი“) უსაფუძვლო და მათი არაკომპეტენტურობისა და დიდებისაკენ სწრაფვის ნაყოფის წარმოადგენს.“

საკითხის განხილვა ამით დასრულდა. ბერია თურმე ჩაუღალა პარაკობა: „საკითხი მომზადებული არ არის!“ და სხდომა დაუხურავს. ახლა ერთი წუთით ამოვიხსენოთ. რაკი ლავრენტი პავლოვიჩი დარბაზიდან გავიდა და, შესაბამისად, მისი პენსნეს მინების ბორცვად ელაგებაც აღარ გვეტრის თვალს, მამა-შვილის საუბრის ერთი ფრაგმენტი მოვიხსინოთ. მოგვიანებით ისტორიკოს ლომოურს მეშინდერი ლომოურისთვის უკითხავს: „რატომ მოექციე ასე ამ ადამიანებს? ხომ იცოდი, ისინი ბერიას ხეწოლით მოქმედებდნენ და მისი ეშინებოდათ?“ მამამ ერთგვარად შეცბუნებულმა უპასუხა: „მე ვიცი, რომ მათ რამდენადმე უსამართლოდ მოექციე, მაგრამ ამ ქლესებს ასეც მოუხდებოდა! ეს ხალხი ყველა უმსგავსისთვის მზად იყო (ახლა ვურადღებოთ მთქვეით მომდგენს წინადადებას დროში). სოლიკოს და მე არანაკლებ გვეშინია ბერია, მაგრამ როდესაც საქმე საქართველოს საინტერესებს ეხება, შიშით თავს ვერ იმართლებ და, საერთოდ, ვერაფერი გაგამართლებს!“

ეს სიტყვები მეშუარისტს სამუდამოდ ჩაებუჭა ცნობიერებაში. მამა-შვილის ეს დიალოგი ალბათ მამის გაიმართა, როდესაც ბერია საქართველოში ან, ყოველ შემთხვევაში, ცოცხალი მაინც იყო. შემდეგ მეშუარისტი პყვება, როგორ გამოვიდნენ სხდომის მონაწილეები, როგორ არიდებდნენ თვალს ლომოურსა და ჩოლოყაშვილს... ერთადერთი, ვინც მათთან მივიდა, გიორგი რცხილაძე იყო. როდესაც სამივე გასასვლელისკენ დაიძრა, სხვები ზურგს აქცევდნენ და გზას უთმობდნენ როგორც კეთორუნებსა და განწლიორუნებს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მათ იმავე დამეგ დააპატიმრებდნენ, – მათ ხომ ბერიას, ანუ პარტიისა და მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედეს.

ლომოურიც ელოდა დაპატიმრებას და ამისთვის ემზადებოდა კიდევ. მუდამ ნემოდანში თბილი ნიუთებიც კი ჩაუწყო. მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა – არც ჩოლოყაშვილი დაუპატიმრებია, არც ლომოური და არც რცხილაძე. მეშუარისტის

დასკვნით, „როგორც ჩანს“, ბერიას გაუაზრებია, რომ მისი გეგმა თავადვე მოუტანდა უარყოფით შედეგებს. უფრო მეტიც, ამ სასტიკი ტორანის დაგვლებით, პროფესორები ლომოური და ჩოლოყაშვილი სულ მალე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში (მაშინდელი სამინისტრო) გამოუშასხებიათ და, დახვერტის ან გადასახლების ნაცვლად, კონსულტანტებად დაუწინაშნა.

„რა იყო ამ ეპიზოდში მნიშვნელოვანი, რამაც მისი მოყოლა გადამაწყვეტინა?“ – ამას უკვე ჩვენ გვეკითხება მეშუარისტი პროფესორი და იქვე ახსნასაც უძებნის, რომ ეს მონათხრობი იმ წლების რეალური სიტუაციას ასახავს. უპირველესად კი, იმის გააზრებას გვიჩვენებს, როგორ შიშში ცხოვრობდნენ მაშინ ადამიანები. ხეშობიერებით ისტორია თავისთავად ეწინააღმდეგება მეშუარისტის მომდგენი დასკვნას, რომ საქართველოში ბერიას წყალობით უკვე დაწყებული იყო ქართული მოაზროვნე ელიტის გამოჩენილი წარმომადგენლების, და არა მხოლოდ მათი, ყოველად გაუმართლებელი დატყობი.

ახლა რა გამოდის? როცა, ბერიას წყალობით, მოაზროვნე ელიტას საყოველთაოდ ანადგურებდნენ, მემინდერების პროფესორი ლომოური და დახვეწილი ვეროპული ჩაცმული მონაწილეები (პირველი რიგის თავადი) კონსულტანტებად დანიშნეს. და ეს მაშინ, როცა ბერიას ბორცვად უღელვარებდა პენსნეს მინებს.

ლომოური იმ შიშზე მიგვანიშნებს, რასაც თათბირზე შეკრებილი ადამიანები განიცდიდნენ, თუმცა, მისივე თქმით, ამ მონათხრობს სხვა შინაარსიც აქვს – იგი ვერ გაქცა მისთვის დამახასიათებელ სიხლს XX საუკუნის 80-იანი წლების მოვლენების მიმართ, როდესაც განხდა ახალი ტერმინები „წითელი ინტელიგენცია“ და „დაშინებული ინტელიგენცია“. მისი თქმით, ამ ტერმინებით მათ მოიხსენიებდნენ, რომელიც მხარს არ უჭერდა იმ დროისთვის გააქტიურებულ ეროვნულ მოძრაობას. ამ ერთ წინადადებაშიც ცრუობს ისტორიის პროფესორი. ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ პირადად ანტიპატივისა თუ სიძულვილის გამო ცალკეული ინტელიგენტები, იქნებ, მართლაც არ უჭერდნენ მხარს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ ქართველი ხალხის თავადი მომდგენისკენ სწრაფვას ხომ სწორედ ნამდვილი ინტელიგენციის თავდაუზოგავმა ბრძოლამ განუმტკიცა საფუძველი და „წითელი ინტელიგენციის“ – კომფორტიზმით შეპყრობილი და კომფორტში ჩაფლული ცრუ ინტელიგენტების წინააღმდეგობა ბრძოლას მეტ სიხლს სქენდა.

პროფესორი ნოდარ ლომოური ამ ისტორიით ხაზს უსვამს, რომ დიდი საფრთხის პირობებშიც კი მართლაც დაშინებულ ინტელიგენტებს შორისაც იყვნენ პიროვნებები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ საფრთხეს, როდესაც საქმე სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდა. „ინტელიგენციის რიგებში სწორედ ასეთი რგოლის არსებობა განაპირობებდა ხალხში პატრიოტული ცნობიერების შენარჩუნებას. ეს შეფრთხილება სულ უფრო იზრდებოდა მომდგენი წლებში და ეს დაგვეხმარა მრავალი განსაცდელის დაძლევაში“, – ვერს მეშუარისტი და იმდღებებს, რომ ამის შესახებაც გვიამბობს.

ჯანმრთელობის ვუსურვებთ 83 წლის ხანმოკლე პროფესორს და ვიმედოვნებთ, რომ მეშუარისტი მომდგენი ნაწილებში მაინც გაუწივს სიამართლეს თვალს. ისტორია, რომლის შესახებაც მან გადმოცემით იცის, უამრავ სიყალბეს შეიცავს. ძნელი დასაჯერ-

ებელია და, ალბათ, ვერც ერთი ობიექტური ისტორიკოსი ვერ წარმოიდგენს, რომ ბერია, რომლის სახელმწიფოებრივი აზროვნების მასშტაბი არა ერთხელ ყოფილა XX საუკუნის ისტორიის სპეციალისტებისა თუ პუბლიცისტების (მათ შორის, ბერიას სასტიკი მოწინააღმდეგეებისაც) განსჯის საგანი, ასეთ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე გადაწყვეტილებას მიიღებდა. კარგია, რომ მეშუარისტი ისტორიკოსი იმას მაინც აღნიშნავს, ქვეყნის ხელმძღვანელი ჭკუას დარვის სპეციალისტებს დაეთხოვა. მაგრამ, ამავე დროს, მას იდეების სიმწიფეში სდებს ბრალს.

საქართველოს სახნავ-სათესი ფართობები მხოლოდ მარცვლული კულტურების დასათესად რომ გამოყენებინათ, ამ შემთხვევაში შესაძლოა, ქვეყანა სორბლით მართლაც უზრუნველყოფილიყო, მაგრამ როგორ წარმოგდგენიათ აგრარული სახელმწიფო, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით მართლაც გამოჩნეულია, მხოლოდ ერთ აგრარულ კულტურაზე აკეთებდეს აქცენტს?! ბუნებრივია, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა ლავრენტი ბერია, რომელიც სახელმწიფოებრივ აზროვნებითაც გამოჩენილია და საკუთარ რეპუტაციასაც ძალიან უფრთხილდებოდა. მეშუარისტიც ვერ გაექცა ამ ფაქტს, თუმცა იმის აღნიშვნა „დააიწვია“, რომ კახეთში ბაღ-ვენახის გაჩეხვის იდეა არა ბერიას, არამედ სწორედ იმ ვაიმეცნიერებს გაუჩნდა, რომლებსაც მეშუარისტის მამამ „წელსკვემით დარტყმა“ ატემა.

ნოდარ ლომოურის ამ ვირუშმაკობის (რბილად თუ ვიტყვით, ისტორიოგრაფიული სკელეროზის) მიზეზი სხვაგან უნდა ვიშებოთ: თუკი მემინდერობის პროფესორი იულონ ლომოური მხოლოდ ამ ვაიმეცნიერების ოპონენტად და გამანადგურებლად წარმოინდებოდა ვაჟის ნაკალმარში, მაშინ ეს ყველაფერი მეცნიერული დავის სახეს მიიღებდა, ხოლო თუკი პროფესორი იულონ ლომოური თვით სისასტიკით განთქმულ ლავრენტი ბერიას იღვას შეეწინააღმდეგებოდა, მაშინ შეიძლება მზრუნველად მოახსამა ტანჯულის მანტიას.

როგორც ხედავთ, ისტორიის ფალსიფიკაციაში დახელოვნებულ პროფესორს გუშანმა უმტყუნა. და თუ მისი მეშუარეობის სხვა ეპიზოდებიც, რომლებსაც, დაპირებისამებრ, ალბათ, უახლოეს პერიოდში გავეცნობთ, ასეთივე თაღლითობით იქნება გაჯერებული, ერთხელაც დავრწმუნდებით, რომ „არ გასწორების ძალის კული და არცა კირხიბი მართლად ვაღს...“

## მიხეილ წერეთელი

გაზთ „ილორის“ რედაქციის კომენტარი: ჩვენ უკვე დიდი ხანია ვაქვეყნებთ რუსი პუბლიცისტის სერგეი კრემლიოვის ნაწარმოებს „ბერია მეოცე საუკუნის საიკეთესო მენეჯერი“, სადაც ობიექტურად და გადმოცემული ბერიას ცხოვრებაა მოღვაწეობა. საწყენია, როცა რუსი ადამიანი ღურსეულ პატივს მოაგებს ამ ჭეშმარიტად დიდი მამულიშვილის ხსოვნას და სიმართლეს წერს მასზე. ქართველი კი ცდილობს ლავში ამოთხაროს მრწამისათვის შეწირული ადამიანი სახელი. თუკი, ისიც საკითხავია, ვინ ქართველია და ვინ არა! მეტს არაფერს შეგვადრებთ მცოვან მეცნიერს, მაგრამ ვურჩევთ: ერთხელ მაინც გადავლოს თვალი კრემლიოვის ნაწარმოებს. იქნებ მერე მაინც დაიკაოს ობიექტური პოზიცია სიმართლის (და არა – ბერიას) მიმართ.



# გახდება თუ არა საქართველო ტერიტორიების ტრანზიტული ქვეყანა

ირაკლი სესიაშვილი:

**გუანტანამოს ტყვეების მიღებას, შესაძლოა, საქართველოში ექსტრემისტული ორგანიზაციების ქსელის შექმნა მოჰყვება**

გუანტანამოს ტყვეები, შესაძლოა, საქართველოში მიიღოს. ამის შესახებ ამერიკული გაზეთი „უაშინგტონ პოსტი“ წერს. სტატიის ავტორი ბარაკ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვაშინგტონმა თბილისთან პოზიტიური მოლაპარაკებები უკვე გამართა, თუმცა ჩვენი ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის ინფორმირებას არ ჩქარობს. შესაბამისად, არც მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.

უსაფრთხოების საკითხების ექსპერტის – ბატონ ირაკლი სესიაშვილის აზრით, გუანტანამოს ტყვეების მიღებამ, შესაძლოა, საქართველოში ტერორიზმის საფრთხე გაზარდოს და ჩვენი სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტებისთვის ტრანზიტული ქვეყანა გახადოს, რაც არავის სურს.

როგორც ბატონმა ირაკლიმ უზრუნველყოფის განყოფილებაში განთავსების საკითხი პოლიტიკური თემაა:

– ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარების ტრანსპორტირების კუთხით ჩვენ კარგი გეოგრაფიული მდებარეობა გვაქვს – ახლოსაა ერაყი, ავღანეთი. მომავალში გამორიცხული არ არის ახალი წერტილის გამოჩენა (ირანი იქნება ეს, ჩრდილოეთ კორეა, თუ რომელიმე სხვა ქვეყანა), საიდანაც ტყვეების გადმოიყვანენ. ასე რომ, აშშ-სთვის ახლო უტურად მისაღება საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა; ამასთან ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელიც ასეთ წინადადებაზე, სავარაუდოდ, დათანხმდებოდა. როგორც ცნობილია, ევროკავშირის ბევრი სახელმწიფო უარს აცხადებს მსგავსი დამნაშავეების მიღებაზე, ისევე, როგორც სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციებში სამხე-

დროების გაგზავნაზე. ევროპას ძალიან უჭირს სხვა ქვეყნის სამშვიდობო ოპერაციებში საკუთარი კონტიგენტის ჩართვა, რადგან ეს დასავლეთში პოპულარული თემა არაა. ევროპული სახელმწიფოების ხელისუფლებებს კი არ სურთ ისეთი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მოსახლეობაში მოწონებას არ იმსახურებს. გუანტანამოს ტყვეების მიღებასთან დაკავშირებითაც ანალოგიური ვითარებაა. გერმანიამ საკუთარ ტერიტორიაზე გუანტანამოს ტიპის საფრთხილზე რომ გახსნას, ამას ისეთი გამოსვლები მოჰყვება, რომ, შესაძლოა, ამას ანგელა მერკელის პოლიტიკური კარიერა შეეწიროს. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა იძულებულია, აშშ-ის ყველა შემოთავაზებაზე თანხმობა განაცხადოს.

– ბატონო ირაკლი, ჩვენ არ შეგვიძლია, მათ შემოთავაზებაზე უარი ვთქვათ?

– შეგვიძლია, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და პრეზიდენტ სააკაშვილის საერთაშორისო იმიჯის დაცემის გამო, ხელისუფლება ყველა იმ ხელმისაწვდომ თემას ეძებს, რაც გააძლიერებს მის პრესტიჟს და იმიჯს, ამიტომ ყველაფერზე თანხმდება. არადა, ყველაფერს გარკვეული ფასი უნდა დაედოს. მითუმეტეს, რომ ციხის ინფრასტრუქტურის გადმოცემის გარკვეული რისკები იზრდება. კერძოდ, არსებობს საშიშროება, რომ დაემუქრონ მშვიდობიან მოსახლეობას და ტერორიზმის საფრთხე გაიზარდოს. თუ სხვა ქვეყნებში უსაფრთხოების მაღალი ზომებია, ჩვენ მიგრაციის ისეთი კანონი გვაქვს, რაც აბსოლუტურად არ შეესაბამება დასავლეთის სტანდარტებს. ჩვენს ქვეყანაში ისე შემოდიან და გადიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები, ბოლოში და, ისე გულაობენ, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ სიტუაციის კონტროლს. როცა ევროკავშირი საერთო რეჟიმის გამართვებას განიხილავდა, სერიოზული პრეტენზიები სწორედ ამასთან დაკავშირებით ჰქონდა. ტერორისტები რამდენადაც თავისუფლად შემოადგვიან ჩვენს ქვეყანაში, არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული ტერორის-

ტული ჯგუფები ჩამოაყალიბონ და ტერორისტული აქტებიც მოაწიონ, თუნდაც აქ დასაქმებული ამერიკელების წინააღმდეგ ან სამიზნედ ის ტერიტორია აირჩიონ, სადაც ციხე განთავსდება. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყანა არ არის იმ დონეზე, რომ აქ ადამიანის უფლებების დარღვევა დაეუშვათ, როგორც ადგილი ჰქონდა გუანტანამოში ან იმ ქვეყნებში, საიდანაც პატიმართა გადაყვანა ხდებოდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ გერმანიის ერთ-ერთ აეროპორტში ამერიკელებს აქვთ ბაზა, რომელსაც პატიმართა გადასაცემად იყენებენ. ყოფილა შემთხვევა, როცა გადაწყვედათ პატიმარი, რომელთა მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილი არ იყო და, შესაბამისად, უკანონოდ იყვნენ დაკავებული. გერმანიის, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობით, პირის დაპატიმრება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე არ შეიძლება. ამდენად, არ არის გამორიცხული, ჩვენს ქვეყანაშიც მოხდნენ უკანონო პატიმრები. ესეც ჩვენი სახელმწიფოს იმიჯს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის და მე, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი, არ მსურს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე მოხდეს ადამიანის წამება, არაადასრულებული მოპყრობა და სხვა დანაშაულებები.

– თუკი საქართველო ტერორისტების სამიზნე გახდება, ხომ არ აღმოჩნდებათ იმ ქვეყნების რიგში, სადაც თითქმის ყოველდღე ხდება აფეთქებები?

– გარკვეულმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა შეიძლება ისარგებლონ საქართველოს არასტაბილური მდგომარეობით და აქ შექმნან, მოამზადონ და სხვადასხვა მიმართულებით გამოიყენონ ტერორისტული დაჯგუფებები. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა ტერორისტულ ორგანიზაციებსაც ხელს აძლევს, რათა აქ გარკვეული კერები შექმნან. მათ ფულის პრობლემა არ აწუხებთ და, როდესაც ქვეყანაში ძალიან მძიმე სოციალური მდგომარეობაა, არ არის გამორიცხული, ქვეყნის შიგნით ბევრი მოკავშირე იპოვონ (და არა მხოლოდ მუსლიმანები).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, სწორ შემთხვევაში, სხვა რელიგიების წარმომადგენლებიც ერთვებიან ამ პროცესში. თუკი გაჩნდება მსგავსი კერები, ამას მოჰყვება ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან სერიოზული დაფინანსება, დაფინანსება – გაფართოება და ტერორისტული ქსელის ჩამოყალიბება. ამ ქსელის წინააღმდეგ ბრძოლა კი სერიოზულ ფინანსურ რესურსებს და უსაფრთხოების ზომებს მოითხოვს. საერთო ჯამში ანალიზი იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ხელისუფლებამ ძალიან პრაგმატული და კონსტრუქციული დიალოგი უნდა აწარმოოს საზოგადოებასთან იმის გამოსარკვევად, რამდენად გვიღირს დათანხმება. როდესაც ასეთ საკითხზე ბრიტანეთი აცხადებს თანხმობას, მათ ისეთი უსაფრთხოების ზომები აქვთ, რომ რისკები მინიმუმამდე შემცირებულია.

– და მაინც ლონდონის მეტროში რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა.

– კი, ბატონო.

– გამორიცხულია, თბილისის მეტროც ტერორისტების სამიზნე გახდეს, თუ კი ავღანელ და ერაყელ ტყვეებს საქართველოში განათავსებენ?

– არ მგონია, რომ ტერორისტების სამიზნე საქართველოს მოსახლეობა გახდეს. მათ კარგად ესმით ჩვენი მდგომარეობა; ნურავის ეგონება, რომ ისინი გაუნათლებლები არიან. მე ვიპოვებ, არ შეიქმნას ექსტრემისტული ორგანიზაციების ქსელი, რომელიც შეტევებს ბაზუბუე განხორციელებს და თავის ჯგუფს გააფართოებს. ეს ჯგუფი კი საით იქნება მიმართული, კაცმა არ იცის; შეიძლება ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო გადაჯგუფება. ჩვენთვის ესეც სერიოზული საფრთხეა, რადგან დღეს არავის არ სურს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ტერორისტების ტრანზიტული ქვეყანა გახდეს.

ნათია ქადაგიშვილი  
P.S. ირაკლი სესიაშვილის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ მომავალი წლიდან უკვე დაიწყოთ გუანტანამოს ტყვეებისთვის ციხის მშენებლობა.

# სააკაშვილი დასავლეთ ევროპაში ისედაც „მოკვეთილად განიხილება“

ტალიანის კომისიის დასკვნის შემდეგ კი იგი ვედრასდროს დაიბრუნებს დიდების დღეებს, რომლებიც პრეზიდენტობის დასაწყისში ჰქონდა

ვიღი ტალიანი ბრიუსელში ევროპის მინისტრთა საბჭოს კომისიის მიერ მომზადებული მოხსენება გადასცა. 30 სექტემბერს გამოქვეყნებული 40-გვერდიანი ანგარიში, რომელიც თანდართული დოკუმენტებით თითქმის ათას გვერდს შეადგენს, ხელს საქართველოსკენ იხვევს.

ტალიანი, რომელიც 2002-2006 წლებში საქართველოში გაეროს წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა და უკანასკნელი ერთი წელი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების კვლევაში გაატარა, განაცხადა: „ორივე მხარეს მისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება. თუ საქართველომ 2008 წლის 7 აგვისტოს დამით ცხინვალზე საარტილერიო შეტევით კონფლიქტი დაიწყო, რუსეთმა ამ სიტუაციისთვის შესანიშნავი ინადაგი მოამზადა, რამაც საბოლოოდ ის საქართველოსთან შეიარაღებულ დაპირისპირებად მიიყვანა. ამასთანავე, რუსეთმა საერთაშორისო სამართლის ნორმები დაარღვია, როდესაც სამხედრო ოპერაციები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიღმა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აწარმოა; დამატებით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაც აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილი ამას ეწინააღმდეგებოდა. ამავე დროს, კონფლიქტის კონტექსტში, როგორც ერთი, ასევე მეორე მხრიდან არარეალური ბრალდებები ისმოდა. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთისა და ოსეთის მიერ საქართველოს დადანაშაულებას სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის გენოციდში.“

ანგარიშში საქართველო გაკრიტიკებულია იმისთვის, რომ მას სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე თავდასხმისთვის არასაკმარისად კანონიერი საფუძველი ჰქონდა.

გაზეთი „The New York Times“ წერს, რომ

დასკვნამ საყოველთაოდ არსებული ეჭვები დაადასტურა: ყველა დამნაშავე... საქართველო იმიტომაც დამნაშავე, რომ ამ ქვეყნის შფოთიანმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უგუნური გადაწყვეტილება მიიღო და სამხრეთ ოსეთს შეუტია. რუსეთი დამნაშავე იმის გამო, რომ სააკაშვილს აწინებდა და აქეზებდა, შემდეგ კი მომენტით ისარგებლა და საქართველოს თავს დაესხა; აშშ დამნაშავეა, რადგან თავისი დუმილით სააკაშვილს უბიძგებდა, ევროპა კი იმიტომაც დამნაშავე, რომ საერთოდ არაფერს აკეთებდა. გაზეთი იმსაც აღნიშნავს, რომ ამ დასკვნის შემდეგაც ქართველებს ჭკუა არ უსწავლიათ, რომ საქართველოს მთავრობა, უკვე გამოუვინდლი ფაქტების მიუხედავად, განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ ჯარების გაგზავნაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტში სამხრეთ ოსეთში რუსეთის არმიის შემოჭრა უკვე დაწყებული იყო. საქართველოს წარმომადგენელი ევროკავშირის სტრუქტურებში ამტკიცებს, რომ, თუკი საგამოძიებო კომისიის წევრებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს მოქალაქეები დაცვას არ იმსახურებენ, „ეს მათი გემოვნების საკითხია“.

საკავშირო „ფრანსპრესი“, ექსპერტების პოზიციაზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ევროკავშირის იმ დასკვნის გამო, რომელმაც სააკაშვილის მთავრობა რუსეთთან იმის დაწყებაში დაადანაშაულა, საქართველოს პრეზიდენტის პოზიციებს დასავლურ დედაქალაქებში სერიოზული დარტყმა მიადგა. სააკაშვილის რეპუტაცია დაინგრა ბრალდებებით იმის თაობაზე, რომ მან საქართველოს აჯანყებულ რეგიონზე, სამხრეთ ოსეთზე, უგუნური შეტევა მოაწყო და ქვეყნის შიგნით განსხვავებული აზრის არსებობას წინააღმდეგობა.

თავად სააკაშვილი დასკვნას მიესალმა, მას „საქართველოს დიდი დიპლომატიური გამარჯვება“ უწოდა და განაცხადა, რომ მოვლენების თბილისური ვერსია „დაცული და გაზიარებულია“. ბრიუსელში განთავსებული ევროპული პოლიტიკის ცენტრის კავკასიის საკითხთა ექსპერტმა ანან-

და აქნაქონამ განაცხადა, რომ „ის დღეები, როდესაც იგი ოქროს ბიჭუნა იყო, დიდი ხნის წინათ დასრულდა და მას ძალიან გაუჭირდება თავისი პოზიციის გაუმჯობესება“.

სხვა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დასკვნამ გააქარწყლა სააკაშვილის მუდმივი მტკიცება იმის თაობაზე, თითქმის სამხრეთ ოსეთზე შეტევის წამოწყებისას საქართველო ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენციის პირისპირ იყო. დოკუმენტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ომი თბილისში გამოიწვია, დაიწყო რა დაუსაბუთებელი თავდასხმა სამხრეთ ოსეთზე. ქართული მხარის განცხადებების დამადასტურებელი მტკიცებულება, თითქმის შეტევას რუსული ინტერვენცია უძღვოდა, არ არსებობს.

ლონდონის Chatham House-ის კავკასიის საკითხთა ექსპერტის ჯეიმს ნიქსის თქმით, „საკაშვილი დასავლეთ სერიოზულად დასიკვდილებულია, რადგან საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, თუ რა პროფესიები ჰქონდა ადგილი, სამხრეთ ოსეთის მიმართულებით რაკეტების გასროლა მისი გადაწყვეტილება იყო“. ევროპის ჯგუფთან მომუშავე კავკასიის ექსპერტმა ანა იელენკოვიჩმა კი დასძინა, რომ სააკაშვილი დასავლეთ ევროპაში ისედაც „მოკვეთილად განიხილება“ და ეს დასკვნა მის წინააღმდეგ ამგვარ დამოკიდებულებას მხოლოდ განამტკიცებს. იმავე ექსპერტებმა საქართველოში ოპოზიციის სისუსტესა და მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სააკაშვილის დარჩენაზეც ისაუბრეს, შემდეგ კი დასძინეს, რომ მიუხედავად ამისა, იგი ვედრასდროს დაიბრუნებს დიდების დღეებს, რომლებიც პრეზიდენტობის დასაწყისში ჰქონდა, როდესაც ევროპის დედაქალაქებში მას თბილად ხვდებოდნენ და შემოთავაზებული შეტევების ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მის ქვეყანას „დემოკრატიის შექმნას“ უწოდებდა.

დასკვნის მიხედვით, 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის საომარი „ოპერაციები საქართველოს მხრიდან მასობრივად სარტყლად შეტევით დაიწყო...“ მოგვიანებით მან საკუთარი ქმედე-

ბების გამართლებისთვის რუსეთის საეჭვო ინტერვენცია დაიმოწმა. საქართველოს განცხადების თანახმად, სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ძალების მობოძობა, კერძოდ კი, სამხედრო და სამედიცინო პერსონალის, კარგების, დაჯგუფებული ავტომობილების, ტანკების, თვითმავალი არტილერიისა და საარტილერიო აღჭურვილობის რაოდენობის გაზრდა 2008 წლის ივლისის დასაწყისში დაიწყო და მთელი აგვისტოს გრძელდებოდა... მისია ვერ ახერხებს ქართული მხარის ჩვენებების საფუძველზე დადასტურებას, რომელთა მიხედვითაც სამხრეთ ოსეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების შეჭრა 2008 წლის 8 აგვისტოს მოხდა... „საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ 7-დან 8 აგვისტოს დამით ცხინვალის დაბომბვამ სათავე დაუდო საქართველოში ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას... საქართველოს განცხადებები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში, 7-დან 8 აგვისტოს დამით, ქართული შეტევის დაწყებამდე იქ ადგილი ჰქონდა რუსეთის შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი ყოფნას, არ დადასტურდა... ასევე, არ დადასტურდა ცნობები იმის თაობაზე, რომ რუსეთი ასეთი სერიოზული თავდასხმისთვის ემზადებოდა. ვერ იქნა მოძიებული მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების მიმართ აშკარა უდიერ დამოკიდებულებას და ეს, შესაბამისად, შეიძლება მათთვის იურიდიული სტატუსის ჩამორთმევის საფუძველი გამხდარიყო“.

იმავე დოკუმენტის მიხედვით, აგვისტოს იმის შედეგად „საერთო ჯამში 850 ადამიანი დაიღუპა, 100 ათასზე მეტმა მშვიდობიანმა მოსახლემ კი საკუთარი სახლი დატოვა. მათგან დაახლოებით 35 ათასი ადამიანი უკან დაბრუნებას ვერ ახერხებს“.

მასალა მოამზადა რ. შალამბერიძემ



გაზეთი "ილორი" უძველეს რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძველეს რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

### ათი ლეგენდარული მატჩი ბ რ ძ ო ლ ა ბ ე რ ნ შ ი

1954 წლის 27 ივნისი

„გაკლორფის“ სტადიონი, ბერნი, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალი.

უნგრეთი-ბრაზილია 4 :2 (2 :1)

გოლები : ჰიდეგკუტი - 4, კოშინი - 7, 90. ლანტოში - 55 (პენალტით), ჯალმა სანტოსი - 18 (პენალტით), ჟუნინიო - 78.

40.000 მაყურებელი, მსაჯი - ელისი (ინგლისი).

**უნგრეთი:** გროშინი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, მ. ტოტი, კოშინი, ჰიდეგკუტი, ციბორი, ი. ტოტი.

**ბრაზილია:** კასტილიო, ჯალმა სანტოსი, ნილტონ სანტოსი, ბრანდოზინიო, ბაუერი, პინეირო, ჟულინიო დიდი, უმბერტო, ინდიო, მაურილი.

ეს გახლდათ ბრწყინვალე მატჩი ორი შესანიშნავი გუნდის მონაწილეობით, რომელიც, სამწუხაროდ, ამავე დროს, გამოირჩეოდა უხეშობითა და აგრესიული ლობობითაც. თვალშისაცემი გახლდათ და მატჩის ჩრდილს აყენებდა ის გარემოება, რომ ფეხბურთელები ერთმანეთის მიმართ არ იჩენდნენ პატივისცემას და სპორტულ ჯენტლმენობას, მაგრამ მაინც...

მატჩის დაწყებისთანავე უნგრელები ორი ბურთით დაწინაურდნენ, რადგან მათ წესად ჰქონდათ თამაშის პირველ ათ წუთში მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთის გატანა. მაგრამ, რამდენადაც ბრწყინვალედ თამაშობდნენ უნგრელი თავდამსხმელები, იმდენად უხეშობდნენ მათი მცველები, რამაც მალე შედეგი მოიტანა და მატჩის მე-18 წუთზე ბრაზილიელებმა პენალტით შეამცირეს ან-

გარიშში სხვაობა. შემდეგ კი პენალტი ბრაზილიელთა კარში დაინიშნა. სულ რამდენიმე წუთში უნგრეთის გუნდის თავდამსხმელმა კოშინიმ დაარღვია თამაშის წესი, მაგრამ მსაჯმა ეს ვერ „შეამჩნია“, რამაც ბრაზილიელ ფეხბურთელთა აღშფოთება გამოიწვია. მეტოქეები ერთმანეთს „შეებნენ“, მაგრამ მოედანზე დავა სიტყვიერ შეურაცხყოფას არ ვასცდენია.

საბოლოოდ მატჩის მთავარმა მსაჯმა ელისმა მინდვრიდან გააძევა უნგრელი ბოჟიკი და ბრაზილიელი ნილტონ სანტოსი. მალე მათ ბრაზილიელი უმბერტოც მიჰყვა, რომელმაც მეტოქეს ჯერ ფეხი ჩაარტყა, შემდეგ კი სახეში შეაფურთხა. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე უნგრელმა კოშინიმ მეოთხე გოლი გაიტანა, რასაც ტრიბუნებზე გულშემბტივართა ჩხუბი მოჰყვა. ფეხბურთელების ჩხუბი შემდეგ გასახდელში გაგრძელდა და მსაჯი იძულებული შეიქმნა პოლიცია გამოეძახებინა.

ფიფამ თავი შეიკავა ფეხბურთელებისათვის მიმე სანქციების დაკისრებისაგან, თუმცა თავად უნგრელები იმუქრებოდნენ, რომ ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდნენ. სამი დღის შემდეგ უნგრელები ნახევარფინალში შეხვდნენ ურუგვალებს და ამ მატჩში გამოვიდა ის უნგრელი 9 ფეხბურთელი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბერნის მატჩში. ამჯერად უნგრელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, ყოველგვარი უხეშობისა და დარღვევების გარეშე და გაიმარჯვეს ანგარიშით 4 :2.

### უნგრეთმა ფინალი მაინც წააგო

1954 წლის 4 ივლისი

„გაკლორფი“, ბერნი, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. გვრ:უნგრეთი 3:2 (2 :2).

გოლები: მორლოკი - 10, რანი - 18, 82, პუშკაში - 6, ციბორი - 8.

60.000 მაყურებელი, მსაჯი : ლინკი (ინგლისი).

**გვრ:** ტურეკი, პოზიპალი, კოლმიერი, კეკელი, ლიბრიხი, მია, რანი, მორლოკი, ვალტერი, ფ. ვალტერი, შუფერი.

**უნგრეთი:** გროშინი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, ციბორი, კოშინი, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ი. ტოტი.

გვრის ნაკრებმა მთელი ჩემპიონატი ნაატარა როგორც დახვეწილმა და ორგანიზებულმა მექანიზმმა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი იყო ორივე გუნდისათვის საინტერესო, რომელიც გერმანელი ფეხბურთელების გამარჯვებით დასრულდა. მატჩმა ასევე აჩვენა ორივე გუნდის დახვეწილი ტაქტიკური მომზადება. შესარჩევ ტურში გერმანელთა მწვერულმა ზუპ პერბერგერმა უნგრეთის წინააღმდეგ სათამაშოდ გამოიყვანა მხოლოდ ძირითადი შემადგენლობის 6 მოთამაშე, დანარჩენები კი რეზერვით შეცვალა და ეს მატჩი უნგრელებმა მოიგეს 8 :3. მომდევნო ტურში კი გერმანელებმა დაამარცხეს თურქები 7:2. ჯგუფურ ეტაპზე ტრავმა მიიღო უნგრელმა პუშკაშმა. ფინალში მან კი გაიტანა გოლი, მაგრამ სრული შესაძლებლობა მაინც ვერ გამოამჟღავნა. უნგრელები გვერდითმა მსაჯმა გრიფიტმაც დანაგრა, რომელმაც მათ თამაშგარე მდგომარეობის მომიჯნაბებით არ ჩაუთვალა თამაშის ბოლო

წუთებზე პუშკაშის მიერ გატანილი გოლი.

მთელი ჩემპიონატის მანძილზე უნგრელებმა მეტოქის კარში გაიტანეს 27 გოლი, რაც დღესაც მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების რეკორდად ითვლება. ფინალამდე ყველა მიხინვედა, რომ უნგრეთის „დიდი“ გუნდი მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ ბედის სასწორი ფორტუნამ და გვერდითმა მსაჯმა გერმანელთა მხარეს გადახარეს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. უნგრეთმა კი უკანასკნელი 32 მატჩიდან მხოლოდ ერთი მატჩი წააგო, რაც საბედისწერო გამოდგა მათთვის.

### გიორგი ჯალალანია



## იუმორი

ჟურნალისტი - ცნობილ მხატვარს:

- როგორ ფიქრობთ, მხატვრისთვის ყველაზე სასიხარულო მოვლენა მისი სურათების გამოფენაა?

- არა, ყველაზე სასიხარულო მოვლენაა, როცა მას გამოფენიდან პირველად მოპარავენ რომელიმე ნახატს.

\*\*\*

კულტურის ახალი ამბები:

„ნაპოლეონი ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ ქვედა ნაწილი. ახლა სპეციალისტებს უკვე აღარ ეჭვებათ, რომ მხატვარმა სურათზე საკუთარი თავი გამოსახა“.

\*\*\*

- რატომ აწერენ მხატვრები თავის გვარს ნახატს ქვედა კედელზე?

- მოყვარულებმა თავდაყირა რომ არ დაკიდონ.

\*\*\*

- მიხრ, რატომ გძინავს სამსახურში?

- რატომ და, ბატონო დირექტორო, პატარა ბავშვი მყავს, რომელმაც წუხელ საერთოდ არ დამძინა.

- ჰო? მაშინ ხვალ ის ბავშვი აქ მოიყვანე, რათა არც სამსახურში დაგაძინოს!

## სიგმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას „ეფრემ ვერდის“ წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

- მეხი - კარგია, რაიმეს შეიძენ ოჯახისათვის;
- მონასტერი ნახო ანუ შესვლა - ცუდია და ნაღვლიანობაა;
- მთაზედ ასვლა - ცუდია, საქმე გაგაჭირდეს და დაზიანდე;
- მიტევა ცოდვისა - კარგია, ქონება მოიმატო;



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტები - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისაგან!

ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!

შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“!

- მობარული რაიმე იყიდო ანუ ჭამო - ლოცვაა და სამიმარი;
- მდიდრობა - ცუდია, ავადმყოფობის ნიშანია;
- მარილის ჭამა - სიმწარეა და დარდის სემატებაა;
- მკვდარი მღვდელი ნახო - ცუდია და ვაგლახის ნიშანია;
- ნავთი იმუზავრო - ბედნიერებაა;
- ნავი ნახო დატვირთული - ცუდია, საზიანო ამბავს მოასწავებს;
- ნემსი - ცუდია და ცოტა რამით შეწუხდე;
- ნიგოზი - მშვიდობიანობაა და კარგია;

### რეპლიკა ბ.კობერიძე

ალბათ, გახსოვთ, დეპუტატმა პაატა დავითაიამ შარშან „ვარდების რევოლუციის“ მორიგი წლისთავის დამდეგს რომ განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რუსეთის ფედერაცია საქართველოს წინააღმდეგ ინტერვენციის ახალ გეგმას ამზადებს და იქვე დასძინა: „საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთს თავს დიპლომატიური ქარიშხალი უნდა დაატეხოს“. მანვე გამოთქვა გარაუდი, რომ „რუსული ინტერვენციის მთავარ მიზანს ამ ეტაპზე საქართველოს ენერგოსექტორზე თავდასხმა წარმოადგენს“ და ამ თავდასხმის მიზანს „ზუსტად“ გამოიცნო: „რუსულ მხარეს ენერჯის ხელში ჩაგდება სურს“.

შარშანდელი ომის დაწყებისას სამეგრელოში მყოფი მამაცი მთავარსარდლის საჭურველმკერთველის ფუნქციონირების უზრუნველყოფის პარალელურად თავმჯდომარის მოადგილე შემოფოთებას არ მალავდა: „აფხაზეთსა და სამეგრელოში მივლინებები ზუსტად ისე ვითარდება, როგორც ეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ავგისტოს დასაწყისში ხდებოდა“.

დავითაიას ფანტაზიამ ფრთები შეისხა. სააკაშვილმა რუსეთის უომრად დაუთმო ენერჯის და არც „ენერგოსექტორზე თავდასხმა“ განხორციელებულა. რაღა თავდასხმა იყო საქმით, როცა ხელისუფლებამ ენერგოსისტემა რუსულ კომპანიებს გადაულოცა, თავის თავს ხომ არ მოუწყობენ „ინტერვენციას“?

შესაბამისად, გამარჯვებულმა ქართულმა ხელისუფლებამაც „დიპლომატიური ქარიშხლის“ ატეხვის მოთხოვნით აღარ მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას.

სამაგიეროდ, დავითაიას მოლოდება ბუნებამ შეისმინა და, რაკი ბუნება მბრძანებელია, მთლად დიპლომატიური ვერა, მაგრამ ძლიერი ქარიშხალი და წვიმა კი დაატეხა ზუგდიდის რაიონის სამ სოფელს - ორულს, ერჯეტასა და განმუხურს.

ორ სოფელში არადიპლომატიურმა ქარიშხალმა მოსახლეობას სახლები დაუზიანა და შენობებს სახურავები ახადა. განმუხურში კი „პატრიოტთა“ ბანაკებს ხელი მოუთავა. თუკი შარშან ცეცხლმა შთანთქა მილიონობით ღარი, წლეულს - ქარმა და წყალმა წაიღო. მართლაც, ძნელია გაჩუმდე, როცა ნაციონალურ ხუმტურს აყოლილი ხელისუფლება მილიონებს ცეცხლს წვავს და წყალს ატანს!

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უცისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: <b>თბილისი, მესამე ნადიკვარის №11</b> სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალალანია</b> მთ. რედაქტორის მოადგილე: <b>ლავით ქობალაია</b> ტექნიკური რედაქტორი: <b>მიხაილ ჩოლოყიშვილი</b></p>	<p>anaklia@web.de e-mail: <b>elisabetthal@yahoo.de</b> ჩაქალაქის განთავსება <b>899-57-33-22</b> <b>72-37-35</b> <b>38-41-97</b></p>
---	---	---	---